# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 10 ნოემბერი, 2009 წელი.

№ 227 (6327)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## საქართველო ხსნის „პირველ კავკასიურს“

Коммерсантъ

ოლგა ალიონოვა:

*...თუ ჩვენ ტელეეთერში დავიწყებთ ასეთ დისკუსიას, ვფიქრობ, შევძლებთ გავაერთიანოთ ჩვენი ხალხები, რომლებიც გათიშულია ომისა და პოლიტიკისგან.*



8

## კვირის სარკეში

თეიმურაზ ქორიძე:

3 **მოდი, პრესაზე ვილაპარაკოთ**

გასულ კვირაში ყურადღების ღირსი, იცოცხლეთ, ბევრი რამ მოხდა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სიტყვის თავისუფლების თაობაზე განახლებული პოლემიკა იყო.

- ოპოზიცია ისევ თავიდან იწყებს!
- შეხვედრა ბაქოში
- მოწყალება მათხოვრებისთვის
- ორიოდე სიტყვა სიტყვის თავისუფლებაზე

## ეთერ ბოცვაძე – ექიმი, მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე



6 7

## არასამთავრობო სექტორი ოპოზიციით უკმაყოფილოა

7 ნოემბრის შემდეგ...

2



## ედუარდ შევარდნაძე გერმანიას საქართველოს მეფიდობიან გაერთიანებაში დახმარებას სთხოვს

## მედვედევმა საზღვარგარეთ შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ კანონს ხელი მოაწერა



5

## რამაზ ყურაშვილი: დროა, ხელისუფლებამ დიაბეტის პრევენციისთვის პროგრამები დააფინანსოს



5

11 **დედაქალაქში მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი უნდა იდგეს!**



7

სისხლის ყივილი

## ქეცბები და ქეცბაიები ერთმანეთს შეხვდნენ

## ტბა – ენერგოუსაფრთხოების მძევალი?

7

№ 227. სამშაბათი, 10 ნოემბერი, 2009 წელი.

ექს-პრეზიდენტი

# ედუარდ შევარდნაძე გერმანიას საქართველოს მშვიდობიან გაერთიანებაში დახმარებას სთხოვს



**საქართველოს ექს-პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გერმანიის გაერთიანების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს დასავლელ მეგობრებს ქვეყნის მშვიდობიანად გაერთიანებაში დახმარებისკენ მოუწოდა.**

— ჩვენ დაგეხმარეთ თქვენ გერმანიის გაერთიანებაში, თქვენ დაგვეხმარეთ ჩვენ, რათა საქართველო მშვიდობიანად გავაერთიანოთ, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

ბერლინში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ექს-პრეზიდენტმა რიგი შეხვედრები გამართა, მათ შორის ქვეყნის ოფიციალურ პირებთან.

გაიმართა ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა ქვეყნის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრთან გიდო ვესტერველესთან.

გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში არსებული ვითარება.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას შევარდნაძემ რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ქმედებების მიუღებლობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ რუსეთმა საქართველოში — კერძოდ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ახალი „ბერლინის კედელი" ააშენა.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

7 ნოემბრის შემდეგ...

# არასამთავრობო სექტორი ოპოზიციით უკმაყოფილოა

**საზოგადოების ნაწილმა 7 ნოემბერი პარლამენტის წინ საპროტესტო მანიფესტაციით აღნიშნა, მაგრამ იქ მისული ადამიანების რაოდენობით არც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან მოხიბლულნი და, მით უმეტეს, არც ოპოზიცია. თუმცა ამით არაფერი მთავრდება და „ბრძოლა გამარჯვებამდე" გრძელდება.**

მანიფესტაციის ორგანიზატორმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთაც პირობითად 7 ნოემბრის საორგანიზაციო ჯგუფი ეწოდება, გუშინ იქამდე გამართეს პრესკონფერენცია, ვიდრე პრეზიდენტის კანცელარიაში ოფიციალურად გადასცემდნენ 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის მონაწილეთა რეზოლუციას.

რეზოლუციის შინაარსი ასეთია:

**„2007 წლის 7 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია რა კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით გარანტირებული მოქალაქეთა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციების უფლება, ძალადობის სასტიკი ფორმებითა და აკრძალული იარაღის გამოყენებით, დაარბია ტელეკომპანია „იმედი", ხოლო შემდეგ უკანონოდ წაართვა იგი მეპატრონეს. ჩაატარა პოლიტიკური რეპრესიები და დააპატიმრა პოლიტიკური კურსის ოპონენტები. ფაქტობრივად მისდამი დაქვემდებარებული ტელეკომპანიების მეშვეობით აამოქმედა პროპაგანდისტული მანქანა და მშვიდობიანი დემონსტრაციების ორგანიზატორები გამოაცხადა ჯაშუშებად და „კრემლის აგენტებად". ამ დანაშაულის ორგანიზატორები და შემსრულებლები ხელისუფლების მიერ იქნენ წახალისებულნი.**

**ქართული საზოგადოება მოძალადე ხელისუფლების წინაშე დღეს კიდევ უფრო მწვავედ და კრიტიკულად აყენებს კანონიერ მოთხოვნებს.**

**ეს მოთხოვნებია:**

**1. გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები და შეწყდეს რეპრესიები პოლიტიკური ნიშნით.**

**2. გათავისუფლდეს მედია ხელისუფლების წნეხისაგან, აღსდგეს საკუთრების უფლება წართმეულ ტელეარხებზე და ტელეკომპანია „იმედი" დაუბრუნდეს ხალხს.**

**3. შეიქმნას თავისუფალი და სამართლიანი გარემო ნებისმიერი არჩევნებისთვის.**

„ამ სამი მოთხოვნიდან პირველი ორის შესრულება უმოკლეს ვადაშია შესაძლებელი, უბრალოდ, ამისათვის საჭიროა ხელისუფლების კეთილი ნება, — აღნიშნა მანიფესტაციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **ნანა კაკაბაძემ,** — სრულიად ადვილია, ხელისუფლებამ გადააყენოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი კანდიდატებით დააკომპლექტოს. ასევე ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული, შეწყდეს პოლიტიკური ნიშნით დევნა, ხოლო პირველ ეტაპზე გათავისუფლდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებული პოლიტპატიმრები".

**გელა ნიკოლაიშვილის** თქმით, სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლის შედეგი არის უგვანო სიტუაციის გამოსწორება. ამიტომ მსგავსი მოთხოვნები მუდმივად იდგება დღის წესრიგში და კონკრეტულ თარიღებთან დაკავშირებით ყოველთვის გამოვლენ და შეახსენებენ ხელისუფლებას.

7 ნოემბერი თანმიმდევრულ გაგრძელებას მოითხოვს, — აღნიშნა **ზაქარია ქუცნაშვილმა,** რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით შეხვედრას გეგმავს ევროკავშირის წარმომადგენლებთან, ამერიკის ახალ ელჩთან, მათ 7 ნოემბრის მანიფესტაციის პეტიციებს გადასცემს.

**გამგები გაიგებს —ქართველი ხალხი არ შეურიგდება ავტოკრატიზმს,** — მიიჩნევენ მესამე სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც მაინცდამაინც დიდად კმაყოფილები არ არიან ოპოზიციის აქტიურობით. მათი თქმით, 7 ნოემბერს მკაფიოდ გამოხატული არ ყოფილა ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა. ჩვენ არ ვიბრძვით სკამებისა და ადგილებისთვის, არამედ ვიბრძვით ღირსების დასაცავად! — აღნიშნეს ბრიფინგზე.

სამი უმთავრესი მოთხოვნა, რომელიც ორ წელიწადია საპროტესტოდ განწყობილ ადამიანებს აწუხებთ, 23 ნოემბრამდე უნდა დაკმაყოფილდეს. თუკი არა, მაშინ ამსაკრალურ თარიღსაც ხალხმრავალ საპროტესტო აქციას მოაწყობენ, ყოველ შემთხვევაში ასეიქადნებიან „ენჯეოშნიკები". თუმცა რამდენად რეალურად შესძლებენ ამის განხორციელებას, სხვა საკითხია. მით უფრო დაქსაქსული ოპოზიციის ფონზე. მართალია, აღიარება არ უნდათ, მაგრამ იმედგაცრუებულ და გულგატეხილ საზოგადოებას ნიჰილიზმი რომ შეეპარა, ეს 7 ნოემბერმაც კარგად გამოაჩინა.

**თუმცა შეიძლება პროტესტი და აქცია საჭირო არ იყოს და პრეზიდენტი გულისხმიერებით მოეკიდოს მიტინგელთა მოთხოვნებს. რაც შეეხება ხალხს და მის სიმრავლეს, სააკაშვილს მანიფესტანტთა რაოდენობის ისედაც არ ეშინია...**

**თეა მოსია**

დაჯილდოება

# გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიები მიენიჭათ

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად 2009 წელს წარმოდგენილი ნაშრომებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიები მიენიჭათ:**

**1. ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია ავტორთა კოლექტივს:** აკადემიკოს გიორგი ხარაძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს გიორგი ბარამიძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს ნუგზარ სურამლიშვილს ნაშრომთა ციკლისათვის: „მოუწესრიგებელ გარემოსა და ულტრადაბალი ტემპერატურების პირობებში მყოფი $^3$He-ის ზედენადი ფაზების თვისებების თეორიული კვლევა".

**2. მიხეილ ნოდიას სახელობის პრემია ავტორთა კოლექტივს:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტს თამაზ ჭელიძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორებს: თემურ მაჭარაშვილს, ოთარ ლურსმანაშვილს ნაშრომთა ციკლისათვის: „არაწრფივი დინამიკის მეთოდების გამოყენება სეისმოლოგიის პრობლემების გადასაწყვეტად".

**3. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ავთანდილ ოქროცვარიძეს ნაშრომისათვის:** „Грециискй гранитоидный магматизм Большого Кавказа".

**4. კირიაკ ზავრიევის სახელობის პრემია აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გურამ გაბრიჩიძეს ნაშრომთა ციკლისათვის:** „სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგია, ახალი შეხედულებები და მათემატიკური მოდელები".

**5. გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ელგუჯა მეძმარიაშვილს მონოგრაფიისათვის:** „საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები".

**6. ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის პრემია აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილს ნაშრომებისათვის:** „სისხლძარღვების პლასტიკა" (მონოგრაფიაძ და „არტერიის პროთეზის და აუტოვენის ტრანსპლანტატის რევასკულარიზაცია" (სტატიაძ.

**7. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ვალერი სილოგავას ნაშრომისათვის:** „სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა".

**8. დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემია ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს დიმიტრი ნადირაშვილს ნაშრომისათვის:** „ფსიქოლოგიური გავლენა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის თვალსაზრისით".

**9. შალვა ნუცუბიძის სახელობის პრემია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს მიხეილ მახარაძეს ნაშრომისათვის:** „ფილოსოფია, პოლიტიკა, მცირე პროზა".

**10. ვარლამ თოფურიას სახელობის პრემია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ალექსი ჭინჭარაულს ნაშრომისათვის:** „ხევსურული ლექსიკონი".

**11. კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პრემია მწერალ ოთარ ჭილაძეს რომანისათვის:** „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" (გარდაცვალების შემდეგძ.

**12. კორნელი კეკელიძის სახელობის პრემია:**

**ა) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ელენე მაჭავარიანს ნაშრომთა ციკლისათვის:** „ქართულ სამწერლობო ცენტრებში შექმნილ ხელნაწერთა მხატვრული მორთულობის საკითხები";

**ბძ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ქეთევან ბეზარაშვილს ნაშრომისათვის:** „რიტორიკისა და თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვითძ".

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი**
**თამაზ გამყრელიძე**

ბრიფინგი

# შალვა ნათელაშვილმა გაეროში მოლაპარაკებები დაიწყო...

**ლეიბორისტული პარტიის ოფისში პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ შალვა ნათელაშვილის აშშ-ი შეხვედრების შესახებ განცხადება გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, მაშინ, როცა გაეროს გენ-ასამბლეის პოლიტიკურ სესიაზე მყოფ საქართველოს პრეზიდენტს ხელიც კი არ ჩამოართვეს, სამუშაო ვიზიტად ჩასულ ლეიბორისტული პარტიის ლიდერს შალვა ნათელაშვილს საკმაოდ კარგად დახვდნენ.** ნათელაშვილმა გაეროში პროგრამით გათვალისწინებული მოლაპარაკებები დაიწყო, სადაც შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპული დეპარტამენტის დირექტორს ელიზაბედ სპეჰერს და მადლობა გადაუხადა გაეროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის. ნათელაშვილს აღუნიშნავს, რომ საქართველოს სათავეში უდგას დამნაშავეთა ჯგუფი სააკაშვილის მეთაურობით, რომლებმაც არამარტო სახელმწიფოს გადატრიალების და გაყალბების გზით მიითვისა ძალაუფლება, არამედ დაშალა



ერთიანი სახელმწიფო და დამყარა სისხლიანი დიქტატურა.

ლეიბორისტული პარტია ითხოვს, გაეროში შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაეროს წესდების ბოროტად დარღვევის მრავალრიცხოვან ფაქტებს. ასევე ნათელაშვილი გაეროს ხელმძღვანელებს სთხოვს, რომ მომავალი პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები საქართველოში გაეროს ეგიდით ჩატარდეს.

პარტიის მდივანმა ჟურნალისტებისთვის ასევე სპეციალური განცხადება გააკეთა ლანჩხუთის რაიონის სოფელ წყალწმინდის მოსახლეობისთვის შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით. მოსახლეობას კერძო საკუთრებაში მქონე მიწებს ართმევენ, მათ სთავაზობენ ძალიან მინიმალურ თანხას, ფაქტობრივად ასახლებენ საკუთარი მიწიდანო, — დასძინა ძაგანიამ.

პარტიაში უკვე სოფლის მოსახლეობის 100-მდე ხელმოწერილი დოკუმენტია შესული. პარტიამ მოსახლეობას ადვოკატებიც კი გამოუყო. მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში ლეიბორისტული პარტია სოფელში წყალწმინდის მოსახლეობასთან ჩასვლას და აქციების გამართვას არ გამორიცხავს.

**ხატია მუსერიძე**

კვირის სარკეში

# მოდი, პრესაზე ვილაპარაკოთ

**გასულ კვირაში ყურადღების ღირსი, იცოცხლეთ, ბევრი რამ მოხდა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სიტყვის თავისუფლების თაობაზე განახლებული პოლემიკა იყო.**

დავიწყოთ, თუნდაც იმით, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი კატარში მოგზაურობიდან დაბრუნდა. ვინც არ იცის, შევახსენებ, რომ ეს არის ნავთობით მდიდარი ციცქნა ქვეყანა არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. ქვეყნის დაახლოებით სამი მეხუთედი უდაბნოა. სახელმწიფო წყობა–აბსოლუტური მონარქია. მსოფლიო პოლიტიკაში რაიმე მეტნაკლებად შესამჩნევ როლს არ ასრულებს. არ გააჩნია მტკნარი წყლის მარაგი. თუმცა, მის ტერიტორიაზე არის მდინარის მშრალი კალაპოტები და რამდენიმე ოაზისი, სადაც ადგილობრივ ფელაჰებს სიმინდი მოჰყავთ.

პრეზიდენტის ვიზიტის ოფიციალურ მიზნად იქაურ ბიზნესმენებთან (ანუ ამირასთან!) საქმიანი ურთიერთობების დამყარება დასახელდა.

მშვენიერი გადაწყვეტილებაა, მაგრამ რას აკეთებს ჩვენი ეკონომიკის სამინისტრო, როდემდე უნდა ირბინოს პრეზიდენტმა ბოდრუმში, მონაკოში და არაბულ საამიროებში სათბურების საიდუმლოებათა შესასწავლად? ამ უსაქმურების გადამკიდე, მეგობარ ამერიკაზე აღარაფერს ვამბობ და, კაცს საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში და ბრიტანეთში ჩასასვლელად ვერ მოუცლია.

კატარის უდაბნოდან ჩამოსული პრეზიდენტი ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სტუდენტებს და პროფესურას შეხვდა. პოლიტიკურად ბრწყინვალედ დამუშავებული ჰალსტუხიანი სტუდენტობა მართლაც საამო სანახავი იყო. პრეზიდენტმა, ტრადიციულად, ბევრი ილაპარაკა, არაფერი უთქვამს და ამ მოვლენის გახსენებაც არ ეღირებოდა, რომ არა ერთი შემაშფოთებელი გარემოება – ყურადღებად ქცეულ აუდიტორიას (ვინმე განძრევას გაბედავდა კიდეც!) საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს ოსური და ყივჩაღური წარმოშობის მეფეებზე ესაუბრა!



**თუ ბატონმა სააკაშვილმა ეს განზრახ, ოსების თავის მოსაქონად, გააკეთა, არ გამოუვიდა: ეს არის ძალიან თვალსაჩინო ფარისევლობა – ოსებმა საქართველოს ისტორიაც შესანიშნავად იციან და საკუთარიც. თუ მართლა ასე ფიქრობს, ეს არის ისეთი უვიცობა, პრეზიდენტს კი არა, აკაკი მინაშვილს რომ არ ეპატიება. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი (არც მეორე!) შემთხვევა, როცა სააკაშვილი საჯაროდ ირცხვენს თავს.** ამას ნამდვილად არ ვამბობ ნიშნის მოგებით – მე არ მომწონს სააკაშვილის მოღვაწეობა, ზოგჯერ მწარედ ვაკრიტიკებ კიდეც, მაგრამ იგი მაინც ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია.

**სააკაშვილიც და მისი უახლოესი გარემოცვაც, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიხვდნენ, ვინ არის პრეზიდენტის და ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივარი – ის, ვინც ხელისუფლების და პრეზიდენტის ნამოღვაწარს საღად აფასებს, თუ ის, ვინც ყველა სიბრიყვეზე ფარისევლურად ტაშს უკრავს.**

სანამ სააკაშვილი თბილისს, დოხას და ახალციხეს შორის დაჰქრის და ბრტყელ-ბრტყელებს აფრქვევს, უკიდურესად მწვავდება ვითარება „რესპუბლიკა იუჟნაია ოსეტიასთან" – ბაგირის გადაწევის პოლიტიკას უკვე ადამიანების მოტაცება ცვლის. უძლეველობის სინდრომით დაავადებულ საქართველოს ხელისუფლებას რუსული იარაღით გაყოყოჩებული ცხინვალის ადმინისტრაცია უპირისპირდება. „წვრილმან" პროვოკაციებს რომ თავი დავანებოთ, ახლა ბავშვების დაპატიმრება და მათთვის იარაღის „აღმოჩენა" დაიწყეს! **ეს, რა თქმა უნდა, აღმაშფოთებელია, საშიშია, საზიზღრობაა, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ: ეს არის ყოვლად უგუნური პასუხი საქართველოს ხელისუფლების ყოვლად უგუნურ „მშვიდობისმოყვარულ" პოლიტიკაზე. რჩება სრული შთაბეჭდილება, რომ მიშა სააკაშვილის „ჩემს გუნდს" ძალაუფლებით ტკბობის გასახანგრძლივებლად ჰაერივით სჭირდება ცხინვალთან და სოხუმთან არსებული უაღრესად დაძაბული ვითარების შენარჩუნება.**

იხ. 4 გვ.

ბრიფინგი

## დააკანონონ ფიქსირებული გადასახადი!

**ხალხის პარტიის ლიდერმა კობა დავითაშვილმა** ელიავას ბაზრობაზე, „მეგალაინის" პირდაპირ, ბრიფინგი გამართა.



მან მცირე მეწარმეებისთვის საკასო აპარატების გაუქმება და ფიქსირებული გადასახადის შემოღება მოითხოვა. დავითაშვილმა სხვა მოთხოვნებიც წამოაყენა. მაგალითად, პენსიების გაზრდა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით.

აქ შეკრებილი ხალხი ითხოვს საკასო აპარატების ერთი წლით შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების დაკანონებას – განაცხადა ხალხის პარტიის ლიდერმა, – ისინი ასევე შრომის წიგნაკის გაუქმების წინააღმდეგნი არიან და მოითხოვენ პენსიას სტაჟისა და დამსახურების მიხედვით.

იქ შეკრებილ აქციის მონაწილეებს ბუკლეტები დაურიგდათ. კობა დავითაშვილი მოუწოდებს ხალხს, მივიდნენ 25 ნოემბერს, დღის 2 საათზე, პარლამენტის შენობის წინ, სადაც მშვიდობიანი აქცია გაიმართება ზემოთ ხსენებული მოთხოვნების შესახებ.

ეკა მაშიანოვა

ინფორმაცია

## ცოტნე გამსახურდიას თითებზე დენთის კვალი ვერ აღმოაჩინა

**ადვოკატმა ქეთი ბექაურმა ცოტნე გამსახურდიას საქმესთან დაკავშირებით ახალი მტკიცებულებების გამოქვეყნება დაიწყო.**



**ძველი თბილისის რაიონულ სამმართველოში ბექაურმა გუშინ დამოუკიდებელი საექსპერტო კრიმინალისტიკური ბიუროს დასკვნა წარუდგინა, რომელიც გამოძიების მიერ ჩატარებული დასკვნისგან განსხვავებულია.**

**– კერძოდ, აღნიშნულმა ბიურომ ცოტნე გამსახურდიას თითებზე დენთის კვალი ვერ აღმოაჩინა. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოძიების მიერ ჩატარებული ექსპერტიზა არაობიექტურია, – განაცხადა ბექაურმა.**

**ამასთან, ადვოკატი დაზარალებულის – დავით ბაჟელიძის დაკითხვას მოითხოვს, რომლის დაჭრისთვისაც გამსახურდია დააკავეს.**

**გამოძიებას დაზარალებული ბაჟელიძე ჯერ კიდევ არ დაუკითხავს, არადა ის უკვე კარგადაა და პალატაშია გადაყვანილი. აღნიშნულიც მიუთითებს იმაზე, რომ გამოძიება არაობიექტურად მიმდინარეობს, – დასძინა ადვოკატმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

***2007 წლის 7 ნოემბრის დრამატული მოვლენებზე, ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირების მსოფლმხედველობრივ და კულტუროლოგიურ ასპექტებზე „ინტერპრესნიუსი" ფილოსოფოსს, კულტურის ანტროპოლოგ ზაზა შათირიშვილს ესაუბრა.***

# თუ ხელისუფლების სისუსტე მისი შინაგანი წინააღმდეგობრიობაა, ოპოზიციის სისუსტე ერთგვაროვნება და ერთფეროვნება გახლავთ

**– ბატონო ზაზა, როგორ დაახასიათებდით 2007 წლის 7 ნოემბრის დრამატული მოვლენების მსოფლმხედველობრივ და კულტუროლოგიურ ასპექტებს?**

– 2007 წლის 7 ნოემბერის მოვლენები, ძალიან უხეშად და რეტუშირებულად რომ ვთქვათ, ხელისუფლების მხრიდან ორი წინააღმდეგობრივი საქმიანობის ამსახველი შედეგი იყო.

პირველი ოთხი წლის განმავლობაში ხელისუფლება ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებდა. ცალი ხელით იყო კაპიტალისტური, მეორე ხელით – სოციალისტური. ერთი ხელით აკეთებდა პრივატიზაციას, მეორე ხელით ანგრევდა კერძო საკუთრებას. ეს რომ განვაზოგადოთ და ყველა სფეროზე გადავიტანოთ, ამ თემაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოკლედ ვიტყვი – 2007 წლის 7 ნოემბერი ხელისუფლების ამგვარი ორმაგი საქმიანობის შედეგი იყო.

იმის თქმა არ მინდა, რომ მარჯვენა ხელმა არ იცოდა, რას აკეთებდა მარცხენა. პრაქტიკულად. მარჯვენა და მარცხენა ხელი ერთმანეთს უპირისპირდებოდა. სწორედ ამან წარმოშვა 7 ნოემბერი, რომელიც თავის თავში შეიცავდა როგორც „კონტრრევოლუციურ ელემენტს", ანუ ძველ განაწყენებულებს, ასევე – ახალ განაწყენებულებს, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ სწორედ ხელისუფლების წინააღმდეგობრივი საქმიანობით. ერთ მხარეზე იყვნენ ძველი ელიტები და ის ხალხი, რომელსაც არ მოსწონდა ეს ხელისუფლება იმის გამო, რომ რაღაცეები დაკარგეს. მაგრამ ხელისუფლების მოწინააღმდეგე აღმოჩნდა ის ხალხი, რომელიც იმედგაცრუებული დარჩა ხელისუფლების წინააღმდეგობრივი საქმიანობთ. შეიძლება ითქვას, რომ აქციაში მონაწილე მეორე, პროგრესული ნაწილი პაპზე უფრო მეტი კათოლიკეები იყვნენ, ანუ მიშაზე უფრო სერიოზული „მიშები".

**– დღეს ოპოზიციამ ხელისუფლების მმართველობა შეაფასა და პრეზიდენტს სერიოზული ბრალდებები წაუყენა. რამდენად საფუძვლიანია ხელისუფლებისადმი ოპოზიციის ბრალდებები და დასკვნა იმის შესახებ, რომ ქვეყანა ტოტალიტარიზმისკენ მიექანება?**

– ქვეყანა ტოტალიტარიზმისკენ იმიტომ არ მიექანება, რომ ტოტალიტარიზმს სერიოზული იდეოლოგია სჭირდება. დღევანდელ ხელისუფლებას, როგორც ასეთი, ერთიანი იდეოლოგია არა აქვს. ვიმეორებ, ეს არის ხელისუფლებაში კაპიტალიზმისა და სოციალიზმის არეულდარეული ფრაგმენტების გამოვლინებები. აქედან გამომდინარე, არის გარკვეული ელემენტები, როგორც დიქტატურის, დემოკრატიის, ისე – ტოტალიტარიზმის, ანუ ყველაფერი ერთად და თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული ტიპის აჯაფსანდალი. ამდენად, ოპოზიცია რაღაცაში მართალია, რაღაცაში არაადეკვატურია, რაღაცაში სწორია, რაღაცაში, უბრალოდ, მოვლენებს სწორად ვერ აფასებს.

**– ხელისუფლება აცხადებს, რომ 7 ნოემბრის გაკვეთილები აითვისა და პოლიტიკურ პრაქტიკაში ითვალისწინებს. თქვენი აზრით, რამდენად ითვალისწინებს ხელისუფლება 7 ნოემბრის გაკვეთილებს?**

– გარკვეული აზრით, ხელისუფლება სწორია, როდესაც ამბობს, რომ მან ეს გაკვეთილები აითვისა, მაგრამ გაკვეთილები იმდენად სუბიექტურად არ აითვისა, რამდენადაც ობიექტურად შეიცვალა რეალობა. თუ პირველი ოთხი წელი იყო ლიბერალური ზვიადიზმის პერიოდი, თუნდაც იმიტომ, რომ, ლიბერალური დემოკრატიის ფრაგმენტებთან ერთად, ადგილი ჰქონდა რევანშის მომენტებსაც; შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციური ენერგია იყო ზვიადისტური, ხოლო იდეოლოგია - ნეოკონსერვატიული. 2007 წლიდან 2009 წლამდე შევარდნაძის მმართველობის მსგავსი სიტუაციაა. ანუ, როცა ხელისუფლება ერთდროულად ყველაფერს აკეთებს. შეიძლება ასეც ვთქვათ – თუ პირველ ეტაპზე ხელისუფლება კარგსაც აკეთებდა და ცუდსაც, ახლა ის ვერც კარგს აკეთებს და ვერც – ცუდს. ამ აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ის შეიცვალა.

**– რატომ ვერ ახერხებს ოპოზიცია გაერთიანებას? ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიციის გაუერთიანებლობის მიზეზი მსოფლმხედველობრი განსხვავებები და განსხვავებული პოლიტიკური მიზნებია?**

– საკითხს ასე დავსვამდი – ოპოზიცია არც უნდა იყოს გაერთიანებული. მათ შორის უნდა იყოს მსოფლმხედველობრივი განსხვავება. უფრო მეტიც, პრობლემა ის კი არ არის, რომ ოპოზიცია ერთიანი არაა, არამედ ის, რომ ოპოზიცია კიდევ უფრო უნდა დაიყოს. მათ შორის დღეს მსოფლმხედველობრივი განსხვავებები გადღაბნილია. რაც უფრო კარგად გამოჩნდება მათ შორის განსხვავება, ანუ თუ ვინ არის მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრისტი. ამით საზოგადოებაც მოიგებს და თავად ოპოზიციაც. დღევანდელი ოპოზიციის სისუსტე მისი იდეოლოგიური გადღაბნილობა და სხვადასხვა ღირებულებების მატარებლობაა.

ყველა პოლიტიკურ სუბიექტს უნდა ჰქონდეს თავისი შეხედულებების ბოლომდე გამოხატვის შესაძლებლობა. სინამდვილეში, ოპოზიციური ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მათ მართლაც სხვადასხვა ღირებულებები აქვთ, მაგრამ ისინი თავთავიანთ იდეოლოგიასა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე პოზიციებს, გარკვეულწილად, ელექტორატის დაკარგვის შიშის გამო ვერ გამოხატავენ. თუ ხელისუფლების სისუსტე მისი შინაგანი წინააღმდეგობრიობაა, ოპოზიციის სისუსტე ერთგვაროვნებასა და ერთფეროვნებაშია.

**– ვითარებაში, როცა, როგორც თქვენ ბრძანეთ, ხელისუფლება ვერც კარგს აკეთებს და ვერც – ცუდს, ხოლო ოპოზიცია ერთფეროვანი და გადღაბნილია, პოლიტიკური პროცესების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში?**

– მე არც პოლიტოლოგი გახლავართ და არც პროგნოზისტი, ჩემი ხედვა ერთი რიგითი მოქალაქის ხედვა უფრო იქნება, მაგრამ ძალიან ზოგადი კონტურებით შემიძლია ვივარაუდო – პოლიტიკური პროცესები იმგვარად ვითარდება, რომ რევოლუციურ გარდატეხებს და ქარტეხილებს არ ველოდები.

შესაძლოა, იყოს პატარ-პატარა წანაცვლებები. წანაცვლებებში ვგულისხმობ იმას, რომ შესაძლოა, ხელისუფლება უფრო ოპოზიციას დაემსგავსოს, ხოლო ოპოზიცია რაღაცით დაემსგავსოს ხელისუფლებას. მაგალითად, ეკლესიის მიმართ საკითხებში ხელისუფლება უფრო მართლმადიდებელი გახდება, ხოლო ოპოზიცია უფრო დაიწყებს საუბარს სეკულირაციაზე.

კობა ბენდელიანი

კვირის სარკეში

## ოპოზიცია ისევ თავიდან იწყებს!

**გულწრფელად რომ ვთქვა, მიჭირს გარჩევა, სად მთავრდება ხელისუფლება და სად იწყება ოპოზიცია. ამიტომ, ვიტყვი ასე: იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომელნიც თავს ნამდვილ ოპოზიციას უწოდებენ, გასულ კვირაში სხვების აშენებულ და სააკაშვილის გახსნილ სასტუმრო „რედისონში“ (ყოფილი „ივერია“) დიდი თავყრილობა გამართეს.** როგორც გვპირდებოდნენ, იმსჯელეს ხელისუფლების უმსგავსობაზე და დაასკვნეს, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება. მათი საერთო აზრით, ოპოზიციის წინა ტაქტიკა, მართალია, სწორი იყო, მაგრამ ახლა ცხოვრება სხვა მოთხოვნებს აყენებს და მიდგომებიც შეიცვლება. საიდან და რა მიმართულებით შეიცვლება, ამაზე აზრთა დიდი ჭიდილია, მაგრამ ახალი ტაქტიკა რომ სანუკვარ მიზანთან მიგვიყვანს, ამას, ოპოზიციის მამების აზრით, წყალი არ გაუვა. გასულ კვირაში ოპოზიციური ძალების უმრავლესობამ განსაკუთრებული ყურადღება 2007 წლის 7 ნოემბრის ავბედით მოვლენებს დაუთმო – გამართა სიმბოლური შეკრება „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“, მოაწყო მანიფესტაცია და მრისხანე ხალხმრავალი მიტინგი რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ.

7 ნოემბრის „გაკვეთილებზე“ ხელისუფლებაც დაბეჯითებით საუბრობდა. თანაც ისე, თითქოს შარშანწინდელი 7 ნოემბრის სასაკლაო მისი მოწყობილი არ ყოფილიყოს. არავითარი მონანიება, არავითარი პასუხისმგებლობა, არავითარი გამოძიება – მხოლოდ „გაკვეთილები“!

პრეზიდენტმა ბრძანა კიდეც, ეტყობა, ხელისუფლებამ ხალხს უფრო მეტად უნდა მოუსმინოსო.

მოსმენა, მერაბიშვილის ხელისუფლება რომ უსმენს, ისეთი უნდა, მთავარი მოსმენილის გაგება და დასკვნების გამოტანაა.

აიძულებს თუ ვერა ასთავიანი ოპოზიცია კლდესავით შეუვალ უთავო ხელისუფლებას იაზროვნოს, რეალობის წინააღმდეგ უმადურ ბრძოლას მოეშვას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

## მოდი, პრესაზე ვილაპარაკოთ

### შეხვედრა ბაქოში

**გასულ კვირას ბაქოში ერთმანეთს საქართველოს და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღოლები შეხვდნენ. მათი საუბრის დეტალები, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, მაგრამ ამას არცა აქვს დიდი მნიშვნელობა – მნიშვნელოვანია თვითონ შეხვედრის ფაქტი.**

საქართველოს ეკლესიის ბრძენმა წინამძღოლმა იცის, რომ ერთმორწმუნე რუსეთთან ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების მოუწესრიგებლად საქართველოს არსებობა გაუჭირდება. ისიც იცის, რომ მის სიტყვას ქართველი ხალხისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, როგორც ქვეყნის ნამდვილ მოჭირნახულეს შეეფერება, მისი უწმინდესობა არ უშინდება აშკარად ხელისუფლების წაქეზებით მის წინააღმდეგ აგორებულ ბინძურ პროვოკაციებს და რუსეთის პატრიარქს ხვდება.

ეს შეხვედრა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მისი უწმინდესობა, სრულიად რუსეთის პატრიარქი თავის მრევლში, მათ შორის, უმაღლეს სახელისუფლო წრეებში, განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობს. მას არ ებრძვიან, „კაგებეშნიკს“ და „საქართველოს აგენტს“ არ უწოდებენ!

ქართველი ურაპატრიოტების და ძალად მართლმადიდებლების საყურადღებოდ გავიმეორებ, რომ თუ ჩვენ დღეს საკუთარ თავს ამაყად ქრისტიანებს ვუწოდებთ, ამაში რუსეთის დიდი ღვაწლიც დევს.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პატრიარქის ნაბიჯი უთუოდ გაალიზიანებს საქართველოს ხელისუფლებას – კოლექტიურ თეა თუთბერიძეს. იმიტომ გაალიზიანებს, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი არის მოღვაწე, ხოლო ხელისუფლება–ამბიციური კარიერისტების ჯგუფი, რომელსაც უჭირს გონივრული გადაწყვეტილების მიღება.



### მოწყალება მათხოვრებისთვის

**საქართველოში მძვინვარე სიდუხჭირის დონეს რომ მიხვდეს, ხელისუფლებას ვთავაზობ ექსპერიმენტს: პარლამენტში, სამინისტროებში, პრეზიდენტის რეზიდენციებში, ადმინისტრაციულ შენობებში, თუნდაც ერთი კვირით შეაჩერეთ საშვთა სისტემის მოქმედება.** თუ ამის ძალიან გეშინიათ, მაშინ თხოვეთ, ვთქვათ, ბატონ პალიკო კუბლაშვილს, სულ რაღაც ერთი კვირით საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდეს. არა, მე არაფერს არ მოვთხოვ, უბრალოდ, დაჯდეს და თვალოს, დღეში კარზე რამდენი მათხოვარი მომიკაკუნებს – მოხუცები, დავრდომილები, ჯანიანები, ქალები, ბავშვები, მოწიფული ვაჟკაცები... თანაც, ეზოში ფრიად საინტერესო საუბრებს მოისმენს „მისი გუნდის“ ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. იქნებ, ისიც მიხვდეს, რომ პრეზიდენტის ყბადაღებული „ეკონომიკის თავისუფლების ქარტია“ არის ბლეფი და, სინამდვილეში, ხელისუფლების უთავბოლობის გამო, ქართული ბიზნესი სრული კატასტროფის წინაშე დგას.

რაც შეეხება გასულ კვირაში პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ფიზიკური პირებისთვის სალარო აპარატებით აუცილებელი სარგებლობის გადავადებაზე, ესეც არის უმაქნისი პიარკამპანიის ერთი პატარა დეტალი და მეტი არაფერი.

### ორიოდე სიტყვა სიტყვის თავისუფლებაზე

**ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, დემოკრატიაზე უმცირესი პრეტენზიის მქონე ქვეყანაშიც კი, ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული ბეჭდური და ელექტრონული მედიის არსებობა დამანგრეველია სახელმწიფოსთვის.** ამ შემთხვევაში, ხელისუფლება, უბრალოდ, ვერ ხედავს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მეტნაკლებად ობიექტურ სურათს და, შესაბამისად, მოკლებულია რეალობისადმი ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. პრესცენტრების და საიდუმლო სამსახურების იმედად დარჩენა კი დიდზე დიდი გულუბრყვილობაა – ისინი ხელისუფლებას აწვდიან იმ ინფორმაციას, რაც მოეწონება ხელისუფლებას. ასეთი ვითარება, საბოლოოდ, ქვეყანაში ქმნის რევოლუციურ ეიფორიას შესაბამისი უმძიმესი შედეგებით.

ამას გარდა, მასმედიაზე კონტროლის დაწესების მცდელობისთანავე, ქვეყანაში ჩნდება მდარე ხარისხის რადიკალურად ოპოზიციური მედიასაშუალებები, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამძაფრებს ვითარებას, ხელს უწყობს პოლიტიკურ არენაზე უვიცების და შარლატანების დამკვიდრებას.

საბოლოოდ, „სახელისუფლო პრესა“ ეკონომიკური და წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, წამგებიანია, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ხელისუფლებისთვის.

კერძოდ, როგორი უნდა იყოს, მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ამის დადგენაც არ არის ძნელი. თუ დაინტერესებული ბატონი დეპუტატი პალიკო კუბლაშვილი (რომელიც აქტიურად მონაწილეობდა გასულ კვირაში ამ თემაზე გამართულ ტელედისკუსიაშიძ მოიწადინებს, საქართველოში, ღვთის მადლით, ჯერ კიდევ არიან სპეციალისტები, რომლებსაც პარლამენტის წევრებისთვის კონსულტაციების გაწევაც შეუძლიათ და არც რამდენიმეგვერდიანი სქემის მომზადებას დაზარდებიან.

ისე, პატივცემულო ბატონო პალიკო (და სხვებო!ძ, საზოგადოებრივი მაუწყებლის პარტიული ნიშნით დაკომპლექტება, მეტი რომ არ შეიძლება ისეთი სისულელეა. თანაც, ძალიან საშიშია თქვენი თანამდებობებისთვის.

**თეიმურაზ ქორიძე**

ზეიმი

## ერეკლე მეფის ხსოვნას პატივი მიაგეს



**7 ნოემბერი დიდი მეფის – ერეკლე მეორის დაბადების დღეა. ერეკლე მეორის საზოგადოების ინიციატივით, მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, სადაც პატარა კახი განისვენებს, დეკანოზმა მამა კონსტანტინე პაიჭაძემ დიდი მეფის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. სანთლებით აციაგდა საფლავზე გამოსახული ფარი და მახვილი წარწერით: „ერეკლე მეფე – 1720-1798.“**

ერეკლე მეორის საზოგადოების წევრებთან ერთად სვეტიცხოველში იმყოფებოდნენ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები.

**თედო ხოსროშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი.**

– დღეს თელავში, დიდი დღესასწაულია – ერეკლე მეორის დაბადების დღე. კახეთი თელავქალაქობას ზეიმობს. ჩვენმა გუბერნატორმა და თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გადაწყვიტეს დელეგაცია სვეტიცხოველში ჩამოსულიყო, ერეკლე მეორის საფლავთან პანაშვიდზე დასასწრებლად.

ისე დაემთხვა, რომ დღეს ერთად შევიკრიბეთ ერეკლე მეორის საზოგადოება და თელაველები.

**არჩილ ჭყოიძე, ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარე.**

– ერეკლე მეორის დაბადების დღე მთელმა საქართველომ უნდა აღნიშნოს, რამეთუ დიდი მეფის გონიერმა პოლიტიკამ 200 წლის წინათ საქართველო გადაარჩინა. სამ იმპერიას შორის მოქცეული ქვეყანა, რომელიც ოსმალეთსა და სპარსეთს ჰქონდა დანაწილებული, ერეკლეს სიმამაცემ იხსნა, სამწუხაროა, რომ დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ერი ჰელოუინსა და სხვა მსგავს უცხო და მიუღებელ დღეებს ზეიმობს, ჭეშმარიტი დღესასწაულები კი მიგდებულია. ჩვენ იმდენი გმირი გვყავს, სირცხვილიც არის, ქართული ტრადიციისა და მართლმადიდებლობისთვის მიუღებელ ზეიმებს ვეთაყვანებოდეთ.

მცხეთაში პირველად ერეკლე მეორის საზოგადოების ეგიდით და მცხეთის მუნიციპალიტეტის თანადგომით, ერეკლე მეორის სახელობის ტურნირი გაიმართა ფეხბურთში მოსწავლეებს შორის. მასში მცხეთის, ნატახტრის, საგურამოსა და ძეგვის გუნდები მონაწილეობდნენ. გაიმარჯვეს ნატახტრელებმა, რომელთაც ერეკლე მეორის საზიგადოების მიერ დაწესებული თასი გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში სამი ეროვნებით ოსი ახალგორელი დევნილი მონაწილეობდა. მშვიდობა უნდა ვუსურვო ჩვენს ძმებს – ოსებს, აფხაზებსა და რუსებს. რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო, ამბობს ქართველი კაცი. ბოლოს და ბოლოს, მტრობა უნდა დავძლიოთ სიყვარულით. სხვა გზა არ დაგვრჩენია, – დაასკვნა არჩილ ჭყოიძემ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## „აფხაზეთობა – 2009“

**საქართველოში ამა თუ იმ რეგიონისა და ქალაქის სახელობითი დღეები წლეულს განსაკუთრებული პომპეზურობით აღინიშნა. სულ ბოლოს „რუსთავქალაქობა“ და „თელაველობა“ იზეიმეს. სამწუხაროდ, მხოლოდ აფხაზეთობის აღნიშვნა ვერ მოხერხდა შესაბამის ადგილზე. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ინიციატივითა და ორგანიზებით პირველი „აფხაზეთობა“ და აფხაზეთის კულტურის დღეები თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში საკმაოდ მასშტაბური, გასართობ-კულტურული ღონისძიებებით აღნიშნეს.**



აფხაზური ოდა, თავად ანჩაბაძეების ისტორიული სახლის მსგავსი, დილიდან მოუთმენლად ელოდა სტუმრებს, ეთნოგრაფიულ მუზეუმში პირველად მოსწავლეები და სტუდენტები გამოჩნდნენ, რომელთაც სპეციალურად ამ დღისთვის სხვადასხვა მუსიკალური საცეკვაო თუ დრამატული ნომრები ჰქონდათ მომზადებული. სწრაფადვე გაიხსა გამოფენა-გაყიდვები. დევნილი ბავშვების ნახელავი ტილოები, რომელზეც ძირითადად მათი ოცნება – აფხაზეთი იყო ბავშვური გულუბრყვილობით გამოსახული, დიდ ინტერესსა და დამთვალიერებელთა მოწონებას იმსახურებდა.

შუადღის მოახლოებასთან ერთად „აფხაზეთობა-2009“ ეზოში შევიდა. თანდათან მოგროვდნენ ტრადიციულ ტანისამოსში გამოწყობილი ბავშვები თუ დიდები. ერთ მინდორზე ქართული საბრძოლო ხელოვნების „ხრიდოლის“ წარმომადგენლები იწონებდნენ თავს სიჩაუქით.

ხალხი ერთბაშად ერთ ადგილს შემოეჯარა. კონცერტი დაწყებულიყო და პატარა მოცეკვავეები აჭარულის ჰანგებზე მთელი მონდომებით ცეკვავდნენ. აჭარულს რაჭული, ლეკური, აფხაზური ცეკვები მოჰყვა. ლექსებიც უხვად წაიკითხეს და კიდევ ერთხელ გაიხსენეს თავიანთი მშობლიური კუთხე. „აფხაზეთობა – 2009“ გვიან საღამომდე გაგრძელდა. ზეიმს არც ხალხი და არც მხიარულება ბოლომდე არ მოჰკლებია. სტუმართა შორის აფხაზეთის მთავრობის გარდა, ბევრ უცხოელსაც დაინახავდით.

მართალია წლევანდელი დღესასწაული იმ მასშტაბის არ ყოფილა, როგორიც ეს შეიძლება აფხაზეთში ყოფილიყო, მას ბუნებრივი სევდაც გასდევდა მშობელი მიწისგან შორს ყოფნისა. ამ საერთო ზეიმში მონაწილე ადამიანებს გულის სიღრმეში სახლში დაბრუნების იმედი არ დაუკარგავთ, იმის იმედი, რომ „აფხაზეთობა“, რომელიც ტრადიციულ დღესასწაულად გადაიქცევა, იქ შავი ზღვის სანაპიროზე გაიმართება მთელი საქართველოს მონაწილეობით.

**ანა წიწილაშვილი**

ინფორმაცია

## რუსი ჟურნალისტი ოლეგ პანფილოვი თბილისელი გახდა



**ცნობილი რუსი ჟურნალისტი და „ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის“ ხელმძღვანელი ოლეგ პანფილოვი საცხოვრებლად თბილისში ჩამოვიდა. პანფილოვი ამის მიზეზად რუსეთში შემნილ ვითარებას ასახელებს.**

**ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, საქართველოში ოლეგ პანფილოვი „კავკასიურ არხზე“ ანალიტიკურ გადაცემას წაიყვანს. ჟურნალისტი პარალელურად ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ლექციებს წაიკითხავს. უახლოეს მომავალში პანფილოვი ქართველ კოლეგებთან ერთად ჟურნალისტიკის სკოლის დაფუძნებას და რუსულ-ქართული ომის დროს მიმდინარე საინფორმაციო კამპანიის შესახებ წიგნის დაწერასაც აპირებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

**მედიცინა**

***დიაბეტით** დაავადებულთა რიცხვი მთელ მსოფლიოში კატასტროფულად იზრდება და 2025 წელს 380 მილიონს მიაღწევს. ყოველწლიურად დიაბეტის გართულებების გამო უფრო მეტი ადამიანი იღუპება (3,7 მილიონი), ვიდრე შიდსითა და ტუბერკულოზით ერთად. საქართველოს მოსახლეობის რვა პროცენტი ამ სენით არის დაავადებული, მაგრამ რაც უფრო ადრე აღმოაჩენენ ადამიანები, რომ რისკის ჯგუფს ეკუთვნიან, ან დიაბეტი აქვთ, მით უფრო ჯანსაღად და სრულფასოვნად იცხოვრებენ, რადგან XXI საუკუნის ენდოკრინოლოგებმა შეძლეს შაქრიანი დიაბეტის, როგორც განუკურნებელი ქრონიკული დაავადების, კონტროლირებად სტადიაზე გადაყვანა. მსოფლიო მედიცინის ფერხულს არც ქართველი ექიმები აკლდებიან. სულ ახლახან დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე იმყოფებოდა დიაბეტის ცენტრის დირექტორი და დამაარსებელი, საქართველოს დიაბეტისა და ენდოკრინოლოგიური ასოციაციების კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რამაზ ყურაშვილი, რომელსაც იქ იტალიელი რობერტო ლომბარდის საპატიო ჯილდო გადასცეს დიაბეტის დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის:*

## რამაზ ყურაშვილი:

# დროა, ხელისუფლებამ დიაბეტის პრევენციისთვის პროგრამები დააფინანსოს

— კანადაში ჩატარდა დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მე-20 კონგრესი, რომელშიც 11 ათასამდე დელეგატი მონაწილეობდა. საერთოდ, ეს წელი დიაბეტის სფეროში განსაკუთრებული აქტივობის წელი იყო, რადგან ამის გარდა კიდევ ორი დიდი კონგრესი ჩატარდა: ერთი ივნისში, ამერიკის დიაბეტის ასოციაციისა, რომელშიც 17 ათასი დელეგატი მონაწილეობდა და მეორე, ოქტომბრის დასაწყისში ევროპის დიაბეტის ასოციაციისა, მასში 19 ათასი დელეგატი იყო რეგისტრირებული.

**— კანადის კონგრესზე საქართველოდან მხოლოდ თქვენ იყავით მიწვეული?**

— მიწვეულნი ვიყავით მე და ჩემი გუნდის წარმომადგენლები, სულ 9 ექიმი. მე მიმიწვიეს ნაშრომების განხილვის ჯგუფის წევრად. წარდგენილი გვქონდა 19 ნაშრომი, რომლებიც დიდი ინტერესით მიიღეს, გარდა ამისა, იყო 3 ზეპირი მოხსენებაც. ამდენი შრომა საქართველოს არასოდეს წარუდგენია, ამდენად კონგრესი ძალიან ნაყოფიერი და შედეგიანი იყო.

ჩვენ იქ მივიღეთ ახალი ინფორმაციები, ბევრი რამ გავიგეთ სხვა ქვეყნებში დიაბეტის მკურნალობის მდგომარეობის შესახებ, როგორ ყალიბდება მენეჯმენტი და ა.შ.

დიაბეტის დროს ყოველთვის პრიორიტეტულია პროფილაქტიკური ჩარევა, ვიდრე დაავადების გართულების შემდეგ მკურნალობა, რომელიც ბევრად მეტ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. დიაბეტის გართულებები ყველასთვის კარგად არის ცნობილი: დაწყებული თავის ტვინით, თვალები, სისხლძარღვები, ქვედა კიდურები, ღვიძლი, გულსისხლძარღვთა სისტემა, თირკმლები — ყველაფერი ეს რთულდება დიაბეტის დროს. შეგვიძლია თუ არა მოვუაროთ მას? შეგვიძლია, თუკი მოხდება დაავადების ადრეული რისკის ფაქტორების გამოვლენა. ამიტომ ბრძოლა ძვირადღირებული კარდიოლოგიური ოპერაციებისაკენ (ან დიალიზის ცენტრების გახსნისკენძ კი არ უნდა მივმართოთ, არამედ პრევენციული მედიცინის გასავითარებლად, ვინაიდან პრევენციულ მედიცინაში ჩადებული ყოველი 1 დოლარი მინიმუმ 7 დოლარის ეკონომიას გვაძლევს.

იმ ქვეყანას, რომელიც პრევენციას ეფექტიანად ატარებს, მედიცინაში მეტი წარმატება აქვს.

**— რომელი ქვეყნებია ასეთი წარმატებული?**

— ასეთი ქვეყნებია: დანია, საფრანგეთი, შვედეთი, ბელგია, ნიდერლანდები. მაგალითად, იტალიაში დიაბეტური ცენტრების ბუმია. იქ ამ მხრივ საკმაოდ კარგი მენეჯმენტი აქვთ, რისი გაზიარება საქართველოსაც არ აწყენდა. მაგალითად, იქ პროფესორები მხოლოდ ლექციების კითხვით კი არ არიან დაკავებული, არამედ საწარმოსთან არიან მიმაგრებული და სამედიცინო ტიპის აპარატების შექმნასა და არსებულის გაუმჯობესებაში მონაწილეობენ, რაც სტიმულს აძლევს ეკონომიკასაც. იტალიაში, მხოლოდ ლომბარდიის ჯანდაცვის სფერო 20 მილიარდი ევროთია დაფინანსებული, ხოლო ფინეთის — 50 მილიარდი ევროთი, რომელიც დიაბეტის პრევენციის მხრივ ჩემპიონთა ჩემპიონია. რუსეთშიც იზრდება მედიცინის დაფინანსება... თუმცა, იქ მენეჯმენტი არა აქვთ „ჯერჯერობით“ ევროპულად გამართული.

**— ჩვენთან რა მდგომარეობაა დაფინანსების მხრივ?**

— ძალიან მწირი თანხებია, ხოლო დიაბეტის პრევენციისთვის საერთოდ არ არის თანხა გამოყოფილი. მთავრობამ ამისთვის ვერ მოიცალა.

ჩვენთვის მთავარია, დიაბეტის შემთხვევების მატება შევაჩეროთ და, მეორე მხრივ, შევაჩეროთ დიაბეტის გართულება, მაგრამ ამ პროგრამის შესახებ ჩვენი მთავრობა არ აქტიურობს, არ იწვევენ ექსპერტებს და ყველაფერი აპარატის კედლებს შიგნით ხდება, სხვა სფეროებისაგან განსხვავებით ჯანდაცვა ჯერჯერობით ვერ გარდაიქმნა.

**— საქართველოში ამუშავდა ვთქვათ, ძუძუს კიბოს პრევენციული სისტემები, რა წარმატება აქვს საქართველოს მედიცინას?**

— ჩვენთან ძალიან ეფექტიანია, როცა ძლიერი და ნიჭიერი პიროვნება კარგ საქმეს იწყებს, მაგალითად, სანდრა რულოვსი აქტიურად ჩაერთო ტუბერკულოზის დარგში და საერთოდ გარდაქმნა ის. ადრე თუ უსუსურ მდგომარეობაში იყო საქართველო, ახლა მოწინავე ქვეყნების რიგშია. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით დიაბეტზე.



მე არა ვარ გლობალური ჯანდაცვის ორგანიზატორი, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს დარგები ინტეგრირებული უნდა იყოს. უნდა გადავიდეთ ტელემედიცინაზე, ანუ რეგიონებთან, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში ცენტრს მოწყვეტილია, უნდა იყოს ინტერნეტკავშირი და ასე მოხდეს ავადმყოფებისთვის კონსულტაციების გაწევა.

საერთოდ, მენეჯმენტის პრინციპებზე უნდა იყოს აგებული ჯანდაცვა.

**— ბატონო რამაზ, გადავერთოთ ისევ დიაბეტზე, მკითხველისთვის რა შეგიძლიათ სანუგეშო თქვათ. რა სიახლეებია ამ სფეროში?**

— ახალი წამლები შემოვა, მაგალითად, ინკრეტინების ჯგუფიდან. ეს მედიკამენტები ინსულინის გამოყოფასაც უწყობს ხელს და ასევე ინსულინის ანტაგონისტი ჰორმონის — გლუკაგონის შემცირებასაც. ეს ძალიან იმედის მომცემი პრეპარატებია.

**— ეს ინექციაა თუ აბები? იმიტომ გეკითხებით, რომ ბავშვებისთვის დისკომფორტია ნემსის ყოველდღიური ჩხვლეტა.**

— არა. ეს არ არის ბავშვებისთვის. ინსულინი, რომელიც მათ აქვთ, ძალიან კარგი საშუალებაა. ოღონდ ეს არის, რომ საქართველოში ბავშვებისთვის არ არის ნორმალური კლინიკა.

მსოფლიო მედიცინაში სიახლეა ისიც, რომ დიაბეტიან პირთა დისკრიმინაცია არ მოხდეს და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ თავი, რაც საქართველოში ისედაც არის. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გასულ საუკუნეში პოლიტიკური ძვრები სწორედ დიაბეტიანმა პირებმა მოახდინეს: ჩერჩილი, ეიზენჰაუერი, ხრუშჩოვი, გორბაჩოვი, კოლი, გენშერი, შევარდნაძე.

**— შეიძლება თუ არა ადამიანმა თავი დაიზღვიოს დიაბეტისაგან?**

— არის კითხვარი, რომელიც ფინელებმა შეადგინეს „დიაბეტის რისკის გამომვლენი“, რომელიც 20 ათასი ეგზემპლარი გამოვეცით. თუმცა, მთავარია ინსტრუმენტალური გამოკვლევა, დიაბეტის ცენტრები, სადაც შეიძლება დიაბეტის გამოვლენა.

ზოგადად დიაბეტი შეიძლება გამოწვეული იყოს გენეტიკით, რომელზეც ზემოქმედება შეუძლებელია. იმატა სტრესმა, უმოძრაო ცხოვრების წესმა, შემოვიდა სწრაფი საკვები, რაც სიმსუქნეს უწყობს ხელს, უაზროდ მიღებული საეჭვო ხარისხის პრეპარატები. ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს ამ დაავადებაზე. რაც მთავარია, იმატა პაციენტების, მოსახლეობის საშუალო ასაკმა. ასაკთან ერთად კი დიაბეტიც მატულობს.

**— მოდით, კვლავ კანადის კონგრესს დავუბრუნდეთ. ძირითადად რას შეეხებოდა თქვენი მოხსენებები?**

— შრომები შეეხებოდა როგორც ჩვენი — დიაბეტის ასოციაციის მუშაობას, ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა, დიაბეტით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას. რას აკეთებს ამ მხრივ საქართველო, წარვადგინეთ დიაბეტის სფეროში თერთმეტი წლის ანგარიში და ზოგადად, რა წარმატებები იქნა მიღწეული.

სხვათა შორის, ჩვენ ბევრად მეტი შრომა გამოვაქვეყნეთ, ვიდრე ჩვენმა დიდმა მეზობელმა ქვეყნებმა: რუსეთმა, თურქეთმა, აზერბაიჯანმა, ირანმა, უზბეკეთმა, ყაზახეთმა. ამ დროს გაითვალისწინეთ, რომ რუსეთს 5 ათასი ექიმი ჰყავს მარტო ენდოკრინოლოგიის სფეროში და უზარმაზარი ბიუჯეტი აქვს, როცა საქართველოს ბიუჯეტი ერთ თეთრსაც კი არ ხარჯავს ტიპი-2 დიაბეტიანი ავადმყოფების დასაფინანსებლად. კანონი კი დიდი ხანია მიღებულია პარლამენტში, რომ დაავადებულებისთვის თანხები გამოიყოს. ეტყობა ჯერ საჭიროდ არ მიიჩნევენ, მაგრამ როცა ამოქმედდება ეს კანონი, შეიძლება გვიანიც კი იყოს. ჩვენ კარს მოგვადგა ისეთი დიდი მტერი, რომელსაც დიაბეტი ჰქვია, ხელისუფლება კი არ რეაგირებს.

**— მკურნალობა ძვირია, არა, ბატონო რამაზ?**

— დიაბეტის მკურნალობა ერთ-ერთი ძვირადღირებულია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას.

როცა საერთაშორისო კონგრესებზე რაღაც შედეგს ვაღწევთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მართებულად გვაქვს დაგეგმილი მენეჯმენტი. უბრალოდ, ახლა საჭიროა სახელმწიფოს ნება დიაბეტის დასამარცხებლად.

ესაუბრა
**თეა მოსია.**

**სურათზე:** იტალიის დიაბეტის ასოციაციის პრეზიდენტი ვერა ლომბარდი დიაბეტის მკურნალობის დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის პროფესორ რამაზ ყურაშვილს გადასცემს რობერტო ლომბარდის საპატიო ჯილდოს.

**ინფორმაცია**

### მედვედევმა საზღვარგარეთ შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ კანონს ხელი მოაწერა

**რუსეთის** ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საზღვარგარეთ შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ კანონს ხელი გუშინ მოაწერა.



ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება.

— შეიარაღებული ძალების შესახებ“ კანონის მიხედვით, რუსეთის პრეზიდენტს უფლება ეძლევა, ოპერატიულად საზღვარგარეთ ჯარების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს, რომელზეც პასუხისმგებლობას პრეზიდენტი და თავდაცვის სამინისტრო იღებს, — ნათქვამია რუსეთის პრეზიდენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

აღნიშნული კანონის მიხედვით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს უფლება ეძლევა შეიარაღებული ძალები თავისი მოქალაქეების დასაცავად სხვა სახლემწიფოს ტერიტორიაზეც გამოიყენოს.

კანონის ინიციატივა რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს ეკუთვნის. კანონი 23 ოქტომბერს დუმამ მეორე მოსმენით უკვე დაამტკიცა. როგორც კრემლში აცხადებენ, აღნიშნული კანონის მიღება 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გადაწყდა.

ქართული მხარის შეფასებით, „თავდაცვის შესახებ“ ახალი კანონით, რუსეთი აგვისტოს მოვლენების „გაპრავებას“ ცდილობს.

### ევროკავშირის წევრი 26 ქვეყნის ელჩი საქართველოს ეწვევა

12 ნოემბერს საქართველოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები ეწვევიან. ამის შესახებ ჟურნალისტებს ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ მიაწოდა.

მისივე განმარტებით, 26 ელჩი შეხვედრებს მაღალ დონეზე გამართავს და როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდება.

— ასეთი ვიზიტები იშვიათად ხორციელდება და ჩვენს მისიას ევროკავშირში ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდა იმისთვის, რომ ეს ვიზიტი შემდგარიყო, — განმარტა კალანდაძემ.

ამასთან, დიპლომატები საქართველოში არსებულ სიტუაციას ადგილზე გაეცნობიან და მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ კონფლიქტის ზონაში ვერ ჩავლენ, იქ არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციებს შეაგროვებენ, რასაც შემდგომ თავიანთი სახელმწიფოების ხელმძღვანელებს გააცნობენ.

### ოკუპირებული აფხაზეთიდან კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს

**ოკუპირებული** აფხაზეთიდან კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს. ინციდენტი გუშინ დილით მოხდა. ჯამბულ ბაძაღუა ენგურის ცენტრალურ ხიდზე ოჯახის წევრებს ელოდებოდა, რომლებიც გალიდან მოემართებოდნენ.

მას გადაცმულმა ოკუპანტებმა ალყა საგუშაგოდან 100 მეტრის მოშორებით შემოარტყეს.

ბოლო ინფორმაციით, მძევალი გალში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. ე.წ. სპეცოპერაციის შემდეგ ოკუპანტებს ხიდი ნახევარი საათით ჩაკეტილი ჰქონდათ.

„ექსპრესნიუსი“ და ХИ-ЭЙЧ-ЭНИ

# ქალბატონ ეთერ ბოცვაძეს

## თქვენი პროფესიონალიზმი და თავდაუზოგავი შრომა მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა თაობებისთვის

*ქალბატონო ეთერ,*

*მოგესალმებით უღრმესი პატივისცემით და გილოცავთ თქვენი პროფესიული მოღვაწეობის სამოც წლისთავს.*

*თქვენმა თავდაუზოგავმა შრომამ, საქართველოში ინფექტოლოგიის ქსელის შექმნასა და საერთაშორისო ასპარეზზე მის წარმოჩენაში შეტანილმა უდიდესმა წვლილმა, ისევე როგორც ექიმთა და მეცნიერთა თაობების აღზრდისთვის გაწეულმა ღვაწლმა, ქართველ მედიკოსთა შორის ღირსეული ადგილი დაგიმკვიდრათ.*

*თქვენ მიერ შექმნილი შესანიშნავი სახელმძღვანელო “ინფექციური დაავადებები“, რომელზეც სტუდენტთა არაერთი თაობა აღიზარდა, სამაგიდო წიგნად იქცა ქართველი ინფექციონისტებისთვის. ხოლო თქვენმა გამოკვლევებმა ვირუსული ჰეპატიტების სფეროში საერთაშორისო აღიარება მოგიტანათ.*

*თქვენი ინიციატივით ვირუსული ჰეპატიტების სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის დაარსებამ და ამ პათოლოგიის პროფილაქტიკის ეროვნული პროგრამის შექმნამ, უდიდესი როლი ითამაშა ქვეყანაში ვირუსული ჰეპატიტების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის განვითარებაში, ისევე როგორც ახალგაზრდა სპეციალისტების დახელოვნებაში.*

*თქვენი დიდი წვლილია იმაშიც, რომ 1998 წელს ცნობილმა გერმანელმა მეცენატმა ჰანს ფალკმა თბილისში ჩაატარა მორიგი საერთაშორისო სიმპოზიუმი “ჰეპატოლოგიის და გასტროენტეროლოგიის ახალი ასპექტები“, რამაც ქართველი მედიკოსებისთვის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობები წარმოაჩინა.*

*თქვენი პროფესიონალიზმი და თავდაუზოგავი შრომა მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა თაობებისთვის.*

*ქალბატონო ეთერ, თქვენ კიდევ ბევრის გაკეთება შეგიძლიათ ქართული მედიცინისთვის. ნება მოგვეცით, გისურვოთ ჯანმრთელობა, სულის სიმხნევე და ოჯახური ბედნიერება.*

დავით ბაქრაძე, სანდრა-ელისაბედ რულოვსი, ფრიდონ თოდუა, რუსუდან კერვალიშვილი, გიორგი წერეთელი, ოთარ თოიძე, ალექსანდრე კვიტაშვილი, გიორგი უგულავა, მამუკა ქაცარავა, ზურაბ ვადაჭკორია, გიორგი ხუბუა, ალექსანდრე ცისკარიძე, ნინო ჯავახიშვილი, რომან შაქარაშვილი, ნოდარ ყიფშიძე, ნიკოლოზ ყიფშიძე, ქეთევან ნემსაძე, სიმონ ხეჩინაშვილი, ვაჟა ოკუჯავა, დიმიტრი კორძაია, მერაბ კვიტაშვილი, ბაადურ მოსიძე, გიორგი ლოზჟანიძე, ბონდო ქობულია, ბეჟან წინამძღვრიშვილი, ივა ბერიძე, ბორის კორსანტია, თემურ თოფურია, ლაური მანაგაძე, თენგიზ ცერცვაძე, შოთა გოგიჩაიშვილი, პაატა იმნაძე, მარინე აბაშიძე.

# ექიმი, მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე

**ბევრია საქართველოში სახელოვანი კლინიცისტი, პაციენტთა მადლიერება ანთებულ სანთლად რომ მიჰყვება ცხოვრების გზაზე.**

**ბევრია მედიკოსი, რომლის სახელსაც ცნობილ პედაგოგთა შორის მოიხსენიებენ.**

**სამედიცინო მეცნიერებაშიც ბევრს უთქვამს თავისი გამორჩეული სათქმელი.**

**ბევრსაც წარმატებით უღვაწია ჯანდაცვის სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის.**

**მაგრამ მხოლოდ ერთეულებია ისეთი, ყველა ჩამოთვლილ სფეროში ერთნაირი წარმატებით რომ ძალუძს მოღვაწეობა.**

**სწორედ ამ გამორჩეულ ერთეულთა შორის აქვს დამკვიდრებული ადგილი ეთერ ბოცვაძეს, დიდ ქალბატონს, რომელიც ექვსი ათეული წელია მუხლჩაუხრელად შრომობს ქართული მედიცინის ასპარეზზე და დღესაც საოცარი შემართებით, რწმენით და რუდუნებით ემსახურება ხალხსა და ქვეყანას.**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ნამდვილი წევრი, საერთაშორისოდ აღიარებული მკვლევარი, დიდი კლინიცისტი და პედაგოგი ეთერ ბოცვაძე საქართველოში ინფექციური პათოლოგიის დარგის აღიარებული ლიდერი და ქართული სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა.

მან, ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის თანამოღვაწეთა და პედაგოგთა წრეში აღზრდილმა, წიგნიერი ოჯახის შთამომავალმა, ღირსეულად გააგრძელა წინაპართაგან მონიშნულ გზაზე სიარული.

თბილისის რკინიგზის №4 სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. იყო სტალინის სახელობის სტიპენდიანტი, სტუდენტთა სამეცნიერო წრის მდივანი და სტუდენტური გაზეთის რედაქტორი, სტუდენტთა პირველი საქალაქო სამეცნიერო კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე.

ასპარეზად სამედიცინო დარგთაგან ერთ-ერთი ურთულესი – ინფექციური სნეულებები – აირჩია. თავის მასწავლებელთან, უბადლო კლინიცისტთან და საზოგადო მოღვაწესთან, პროფესორ გიორგი კვიტაშვილთან ერთად, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო კლინიკური და სამეცნიერო ინფექტოლოგიის საფუძვლების შექმნა საქართველოში.

ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე წარმატებით განვლო გზა ასპირანტიდან კათედრის გამგემდე. ამ დიდ და რთულ გზაზე თავიდანვე გამოვლინდა მისი მაღალი ინტელექტი, კლინიკური, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შეთავსების გასაოცარი უნარი.

ე. ბოცვაძე მრავალმხრივი კლინიკური ინტერესების გამო ახერხებდა პარალელურად ემუშავა კ. ბუნინის, ე. ტარეევის და ა. ბლუგერის კლინიკებში. კლინიკურ ბიოქიმიას ეუფლებოდა პროფესორების: ვ. ვარაზის და ე. ქუთათელაძის და აკადემიკოს ვლ. ასათიანის ლაბორატორიებში.

ე. ბოცვაძის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ სნეულებათა კათედრამ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ასევე სხვა ქვეყნების სამედიცინო საზოგადოებაში. კათედრა განლაგებული იყო 320-საწოლიანი კლინიკის ბაზაზე. ე. ბოცვაძე ხელმძღვანელობდა ნაწლავთა, ჰაერ-წვეთოვანი, ზოონოზური ინფექციების, ნეიროინფექციების, ვირუსული ჰეპატიტების განყოფილებათა კლინიკურ საქმიანობას. ეს მოითხოვდა დაძაბულ მუშაობას: ყოველდღიურ შემოვლებს, დიაგნოსტიკურად რთული შემთხვევების გარჩევას, საავადმყოფოს შიგა ინფექციის პრევენციას. პროფესორ ბოცვაძის შემოვლები, ინფექტოლოგიის და სხვა მომიჯნავე დარგების უახლესი მიღწევების ჰარმონიულად ფლობის გამო, შესანიშნავ სკოლად იქცა ახალგაზრდა ექიმთა და სტუდენტთათვის.

ქალბატონ ეთერის ინიციატივითა და ძალისხმევით ინფექციურ დაავადებათა კლინიკაში გაიხსნა კლინიკური ბიოქიმიის, იმუნოლოგიის, იმუნოფერმენტული ანალიზის, მოლეკულურ-ბიოლოგიური ლაბორატორიები, მათ შორის, საბჭოთა კავშირში პირველად, ე.წ. „ებოტის ლაბორატორია“, ინსტრუმენტული კვლევის და ექსტრაკორპორული დეტოქსიკაციის განყოფილებები. აღნიშნულმა ხელი შეუწყო კლინიკური აზროვნების თანამედროვე დონეზე განვითარებას, ამასთანავე, სერიოზული საფუძველი შეუქმნა წარმატებულ სამეცნიერო კვლევით მუშაობას.

ე. ბოცვაძის ინიციატივით კათედრაზე მუშაობა დაიწყო ახალგაზრდა ექიმების ჯგუფმა, რომელიც წარმატებით ჩაერთო პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობაში.

**„პედაგოგი კარგი ფსიქოლოგი უნდა იყოს. მან უნდა შეიცნოს ახალგაზრდის პიროვნება, მისი სულიერი სამყარო. უნდა იცოდეს, რომ მას ხიბლავს მასწავლებლის ყურადღება, ჰუმანურობა. უხეშ მიდგომას, გალანძღვას, განსაკუთრებით მეგობრების წრეში, მთელი სიცოცხლე იმახსოვრებს. და პირიქით, თბილი მოპყრობით ყველაზე ჭირვეული სტუდენტიც საბოლოოდ მეგობარი ხდება.“** – ეს ქალბატონი ეთერის სიტყვებია, რომლის ჭეშმარიტება მრავალგზის დაუდასტურებიათ მის აღზრდილებს.



მიუხედავად მკაცრი ხასიათისა და მომთხოვნი ბუნებისა, მას არასდროს ღალატობს ობიექტურობის გრძნობა და ტაქტი. **„მისი გამოცდიდან ბევრჯერ გამოსულან უნიშნოდ, მაგრამ არასდროს უკმაყოფილო.“** ეს უკვე ქალბატონი ეთერის სტუდენტის სიტყვებია.

ე. ბოცვაძის მაღალაკადემიურ დონეზე მომზადებულ და ფართო ზოგადი განათლებით აღბეჭდილ ლექციებში შერწყმულია მეცნიერების უახლესი მიღწევები და მდიდარი კლინიკური გამოცდილება. ის საკუთარი ხელით შექმნილი თვალსაჩინოებებით აცოცხლებს ლექციის თემას და ზრდის მის ეფექტურობას. ქალბატონი ეთერი მეტყველებს დახვეწილი ქართულით, ლამაზად და სხარტად, დოზირებული იუმორით. იქ, სადაც საჭიროა, ჩართავს შემთხვევებს საკუთარი პრაქტიკიდან. ამიტომაა, რომ ლექციები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზე.

ქალბატონი ეთერის ბრწყინვალე სახელმძღვანელო „ინფექციური დაავადებები“, რომელიც უკვე 3-ჯერ გამოიცა და რომელიც 1990წ. სახელმწიფო პრემიით აღინიშნა, **„სამაგიდო წიგნად იქცა არა მარტო სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმებისათვის, არამედ გამოცდილი ინფექციონისტებისთვისაც.“** (აკადემიკოს ვ. ბოჭორიშვილის სიტყვებია).

ე. ბოცვაძის ხელმძღვანელობით დამუშავებულია სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ახალი ფორმები, მეთოდური რეკომენდაციები სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის. თითქმის ყოველწლიურად იყო სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული სტუდენტური ნაშრომები არაერთხელ დაჯილდოვდა საპატიო სიგელებითა და დიპლომებით, მათ შორის საკავშირო კონკურსებზე. დღეს სახელმოხვეჭილმა მეცნიერებმა და პედაგოგებმა - ზურაბ ქევანიშვილმა, გ. კიკნაძემ, ყარამან ფაღავამ და სხვ. პირველი სტუდენტური შრომები სწორედ ე. ბოცვაძის ხელმძღვანელობით შეასრულეს.

ინფექციურ სნეულებათა კათედრამ შემოქმედებითი პარტნიორული ურთიერთობები დაამყარა მოსკოვის ნ. გამალეას სახელობის ეპიდემიოლოგიის და მიკრობიოლოგიის, სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ეპიდემიოლოგიის ცენტრალურ, დ. ივანოვსკის სახელობის ვირუსოლოგიის ინსტიტუტებთან, ლატვიის, გერმანიისა და იტალიის ჰეპატოლოგიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრებთან.

ფრიად მნიშვნელოვანია ე. ბოცვაძის ღვაწლი სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში. ინფექციური პათოლოგიის თითქმის არც ერთი აქტუალური საკითხი არ დარჩენილა მისი ყურადღების გარეშე. იგი 300-მდე შრომის ავტორია, რომელთა შორის 6 მონოგრაფიაა. ის არის რედაქტორი სსრკ სიმპოზიუმის მასალებისა „ვირუსული ჰეპატიტი“ (1982). მოწოდებული აქვს მეთოდური რეკომენდაციები, გამოგონებები, რაციონალიზატორული წინადადებები.

მისი სამეცნიერო შრომები ეხება დიფთერიის, ნაწლავთა ინფექციების, ამებიაზის, ნეიროინფექციების და ვირუსული ჰეპატიტების აქტუალურ საკითხებს. ეს კვლევები ღრმა კლინიკურ-ეპიდემიოლოგიურ ანალიზთან ერთად ხასიათდება თანამედროვე კლინიკურ-ბიოქიმიური, ბიოფიზიკური, იმუნოლოგიური, მიკრობიოლოგიური, ინსტრუმენტული, იმუნოფერმენტული, მოლეკულურ-ბიოლოგიური, მორფოლოგიური, ქიმიური და ბირთვული ფიზიკის მეთოდების კომპლექსური გამოყენებით. სიახლესთან ერთად ისინი ხასიათდება მიღებული შედეგების შეფასების განსაკუთრებული პრინციპულობით.

70-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ში დაიწყო მენინგოკოკური ინფექციის და სხვა ჩირქოვანი მენინგიტების უმძიმესი ეპიდემია. შეიქმნა ამ დაავადებებთან ბრძოლის კოორდინირებული საკავშირო პროგრამა, რომელშიც ქ. თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ნეიროინფექციების განყოფილება შეყვანილ იქნა საყრდენ ბაზად. საკავშირო კონფერენციაზე ეთერ ბოცვაძემ გამოთქვა მოსაზრება მენინგოკოკცემიური ინფექციურ-ტოქსიკური შოკის პათოგენეზის და ჰომეოსტაზისა და ჰემოსტაზის დარღვევების კორექციის შესახებ. კლინიკური დაკვირვებისა და ჰემოსტაზის დინამიკის შესწავლის საფუძველზე, მან ერთ-ერთმა პირველმა გააკეთა კატეგორიული დასკვნა, რომ მენინგოკოკცემიური შოკის დროს ჰეპარინის გამოყენება სიკვდილის ტოლფასი შეიძლება გახდეს. მისი უშუალო ინიციატივით შესწავლილ იქნა მენინგოკოკური ინფექციის გენერალიზებული ფორმების – მენინგიტის, მენინგოკოკცემიის, ინფექციურ-ტოქსიკური შოკის პათოგენეზისა და კლინიკის მრავალი საკითხი. დაიხვეწა მასი-

# მამულის წინაშე ვალმოხდილი



ური პენიცილინთერაპიის დოზები და ტაქტიკა. ეთერ ბოცვაძის უდიდესი დამსახურებაცაა, რომ მოკლე დროში მენინგიტებით გამოწვეული ლეტალობა 60-80%-დან შემცირდა 3-7%-მდე. ასევე ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია ე. ბოცვაძემ გრიპის პანდემიებთან ბრძოლაში, სადაც საქართველომ მთელს საბჭოთა კავშირში საუკეთესო შედეგი აჩვენა.

განსაკუთრებული ორიგინალობით და ნოვატორობით გამოირჩევა კვლევები ვირუსული ჰეპატიტების შესახებ. ამ პრობლემას ეძღვნება ასევე მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით შესრულებული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

სამეცნიერო მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში, 60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი ჰეპატოტროპული ვირუსები, ე. ბოცვაძემ პირველმა გამოაქვეყნა შრომები ღვიძლის ციროზი-კიბოს შესახებ ინფექციური სიყვითლის დროს. დღეს უკვე აღიარებულია „სიყვითლის“ ვირუსების კანცეროგენული ბუნება და ის ფაქტი, რომ ღვიძლის პირველადი კიბო B და C ვირუსებითაა განპირობებული.

ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა ქალბატონ ეთერის შრომებს ბიოლოგიურად აქტიური მიკროელემენტების კლინიკური მნიშვნელობის შესახებ ვირუსული ჰეპატიტების დროს. ეს გამოკვლევა შეადგენდა მისი სადოქტორო დისერტაციის ნაწილს. საკითხი საბჭოთა კავშირში პირველად იქნა შესწავლილი ნეიტრონული აქტივაციის მეთოდით, ბირთვულ რეაქტორზე. შედეგები გამოქვეყნდა ამერიკასა და ინგლისში. უმაღლესი საატესტაციო კომისიის მოთხოვნით ე. ბოცვაძის დისერტაციის ეს ნაწილი რუსულ ენაზე დაიბეჭდა მონოგრაფიის სახით: „Вирусный гепатит и микроэлементы“, ხოლო ავტორი არჩეულ იქნა საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის რეცენზენტად.

ე. ბოცვაძე არის ავტორი B ჰეპატიტის ორიგინალური კლინიკური კლასიფიკაციისა (1986), რომლის თანახმადაც ქრონიკული ჰეპატიტი და ღვიძლის ციროზი ვირუსული B ჰეპატიტის გამოსავალი კი არაა (როგორც ამას დღესაც თვლის ზოგიერთი სპეციალისტი), არამედ ინფექციური პროცესის კლინიკური ფორმა და გართულებაა. მან კათედრის თანამშრომლებთან ერთად პირველად შეისწავლა გამალეას სახელობის ინტიტუტში დამზადებული საინექციო ინტერფერონის ეფექტურობა ჰეპატიტების დროს (საავტორო მოწმობა №1697828).

ე. ბოცვაძის შრომების ერთი ჯგუფი ეძღვნება ვირუსული ჰეპატიტების იმუნოლოგიური ასპექტების შესწავლას. შედეგები საფუძვლად დაედო მკურნალობაში იმუნოდეპრესანტების გამოყენებისაგან თავის შეკავებას. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, პრედნიზოლონი თითქმის ყველგან ამოღებულ იქნა მკურნალობის კომპლექსიდან. თანამშრომლებთან ერთად მან პირველად მოაწოდა B ჰეპატიტის ლეტალური გამოსავლის პროგნოზირების იმუნოლოგიური ტესტი: პერიფერიულ სისხლში T ლიმფოციტების მრავალრეცეპტორული სუბპოპულაციების გაქრობა, როგორც ლეტალური გამოსავლის მაჩვენებელი (საავტორო მოწმობა №1090408).

პროფესორმა ე. ბოცვაძემ ასევე თანამშრომლებთან ერთად საქართველოში პირველად გამოიკვლია და აღწერა დელტა (D) ჰეპატიტი.

მნიშვნელოვანია ეთერ ბოცვაძის კვლევები B, C და D ჰეპატიტების შერეული ფორმების შესახებ. შერეული ეტიოლოგიის ვირუსული ჰეპატიტების დროს დადგენილ იქნა C ვირუსის დომინანტური რეპლიკაცია, რაც ახალი სიტყვაა ჰეპატოლოგიაში.

1996 წელს მსოფლიოს ორმოცი მეცნიერეისაგან შემდგარმა ჟიურიმ მისი მოხსენება სანქტ-პეტერბურგის საერთაშორისო სიმპოზიუმზე – „ახალი მიმართულებები ჰეპატოლოგიაში“ – პრემიით დააჯილდოვა. სიმპოზიუმზე აღინიშნა, რომ პრემირებულ კვლევას საფუძვლად უდევს თანამედროვე მეცნიერების უახლესი მიღწევები და დიდი კლინიკური ალღო, რაც შრომის ხელმძღვანელის პროფესორ ეთერ ბოცვაძის მაღალ კლინიკურ და მეცნიერულ აზროვნებაზე მიუთითებს.

ქართული ჰეპატოლოგიური სკოლის და პირადად ეთერ ბოცვაძის მეცნიერული კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ფარმაციისა და მედიცინის დოქტორმა, ცნობილმა გერმანელმა მეცენატმა ჰერბერტ ფალკმა 1998 წ. საერთაშორისო სიმპოზიუმი „ჰეპატოლოგიის და გასტროენტეროლოგიის ახალი ასპექტები“ თბილისში ჩაატარა საკუთარი დაფინანსებით.

მნიშვნელოვანია ე. ბოცვაძის კვლევები პარენტერული ჰეპატიტების ოჯახური კერების, ამ დაავადებების ეტიოლოგიური და ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ. ოჯახში ინფექციის გავრცელების სიხშირით განსაკუთრებით B ჰეპატიტი გამოირჩევა. კვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ადეკვატური ეპიდსაწინააღმდეგო და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება. მათგან უმნიშვნელოვანესია ჩვენს ქვეყანაში 13-14 წლის ასაკის მოზარდებში B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შემოღება.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია შრომები, რომლებიც ეხება B ვირუსის მუტანტური შტამებით განპირობებული ჰეპატიტების ეპიდემიოლოგიურ-კლინიკურ-სეროლოგიურ დახასიათებას. ასევე შრომები, რომელშიც შესწავლილია საქართველოში გავრცელებული C ვირუსის გენოტიპები.

პირველად საბჭოთა კავშირში, 1983 წელს, ე. ბოცვაძის ინიციატივით, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, დაფუძნდა ჰეპატიტგადატანილთა დისპანსერული განყოფილება, შეიქმნა დისპანსერიზაციის ახალი ფორმა და დებულება.

1985წ. ეთერ ბოცვაძის ხელმძღვანელობით თბილისში ჩატარდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის სიმპოზიუმი: „მიკროანალიზის ახალი მეთოდები“. საქართველოს მთავრობის დახმარებით საბჭოთა კავშირში პირველად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრასთან გაიხსნა ვირუსული ჰეპატიტების დიაგნოსტიკის იმუნოფერმენტული ლაბორატორია. ამით შესაძლებელი გახდა ენტერული და პარენტერული ჰეპატიტების სეროლოგიური პროფილების შესწავლა და ზუსტი დიაგნოსტიკა – გამოსავლის პროგნოზის კონტროლით. 1987 წელს კი დაარსდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ვირუსული ჰეპატიტების სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი და შეიქმნა აღნიშნულ დაავადებათა შესწავლის კომპლექსური პროგრამა. ცენტრი დღესაც უდიდეს როლს თამაშობს ქვეყანაში ვირუსული ჰეპატიტების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, ასევე პროფესიონალთა კადრების მომზადების საქმეში.

სხვადასხვა დროს ე. ბოცვაძე იყო სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, ინფექციონისტთა და პარაზიტოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ინფექციონისტი, ჯანდაცვის მსოფილო ორგანიზაციის, საბჭოთა კავშირის და საქართველოს 21 რეგიონული და საერთაშორისო პროგრამის მონაწილე და ხელმძღვანელი, ინფექციონისტთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრი, სამედიცინო ჟურნალების „Эпидемиология и инфекционные болезни“ და „Мир вирусных гепатитов“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჰეპატოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის გამგეობის წევრი (1987-1991 წ.წ. ამსტერდამი), ექიმ ინფექციონისტთა სასერთიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სამედიცინო ენციკლოპედიის ერთ-ერთი ავტორი, ქვეყნის მრავალ რეგიონში საქველმოქმედო და საჯარო ლექციების ინიციატორი და ორგანიზატორი. დასახელებულია მსოფლიოს გამოჩენილ ჰეპატოლოგთა შორის (2006 წ.). მისი გვარი შეტანილია მსოფლიო ბიოგრაფიულ ცნობარებში – მე-20 საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის, ასევე გერმანულ გამოცემაში „მეცნიერების წინსვლა ასახული დროში“. დაჯილოდებულია მრავალი მედლით, სიგელით და პრემიით. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მედლის მფლობელი, წლის საუკეთესო ექიმი. 1996წ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. 2004 წელს ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ დაჯილდოებულია ამერიკის ღირსების ოქროს მედლით. 2007 წელს ჰეპატიტის მსოფლიო დღეს, ჰეპატიტების კვლევაში გაწეული ღვაწლისთვის, კომპანია ჰოფმან ლა როშემ (შვეიცარია) დააჯილდოვა საპატიო სიგელით და მედლით.

დღეს ქალბატონი ეთერი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი, შიდსის, ინფექციური პათოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის მთავარი კონსულტანტი, „ინფექციურ სნეულებაში“ დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების პროგრამის დირექტორი და საქართველოს ინფექციონისტთა ასოციაციის პრეზიდენტია.

გასაოცარია, რომ ასეთი მრავალფეროვანი მოღვაწეობის მიუხედავად ეთერ ბოცვაძემ შეძლო ყოფილიყო შესანიშნავი მეუღლე, დედა, ბებია. ბატონ ამირან კვიტაშვილთან ერთად მან შექმნა შესანატრი სიყვარულით გამთბარი, ტრადიციული ოჯახი. ამ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ და იკრიბებიან ქართული ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები – ექიმები, მეცნიერები, პედაგოგები, ასევე ბოჰემის მიმდევარნი, მხატვრული სიტყვისა თუ მუსიკის ოსტატები. ქალბატონი ეთერის ოჯახში მოკრძალებული სუფრაც კი ხშირად ქცეულა მაღალი ზნეობის, აკადემიურობის, მაღალი სიტყვიერების და დროსტარების ბრწყინვალე ნაზავის ნიმუშად. 2005 წ. იგი არჩეულ იქნა ბოცვაძეების საგვარეულოს მე-20 საუკუნის საპატიო წევრად. ამ ნომინაციით ქალბატონი ეთერი არანაკლებ ამაყობს ვიდრე სხვა პროფესიული ჯილდოებით.

ქალბატონი ეთერის ქალიშვილმა, რომელიც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია და დედის ტრადიციებს აგრძელებს, კარგად იცის თავისი მშობლის ფასი და ღირსება. შვილიშვილები ახლა იწყებენ დიდ და რთულ ქართულ გზებზე სიარულს. ეთერ ბოცვაძე საოჯახო ასპარეზზეც მამულის წინაშე ვალმოხდილი ქალბატონია.

ვულოცავთ ქალბატონ ეთერს სამედიცინო და საქვეყნო მოღვაწეობის მონუმენტურ თარიღს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი საზოგადოების და ქართული მედიცინის საკეთილდღეოდ.

**თენგიზ ცერცვაძე,**
**პროფესორი;**
**შოთა გოგიჩაიშვილი,**
**მედიცინის დოქტორი.**

**◉ ენერგეტიკა**

# ტბა – ენერგო-უსაფრთხოების მძევალი?

**საქართველოს ბუნებრივი რესურსების პოტენციალის გათვალისწინებით, ქვეყნის სტრატეგიული ინტერესია ჰიდროელექტროენერგიის გენერაციის მნიშვნელოვანი გაზრდა. ამასთან დაკავშირებით ენერგეტიკის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ, რაკი ეკონომიკური მდგრადობის თვალსაზრისით ჰიდროელექტროენერგია სხვასთან შედარებით მდგრადი რესურსია, მასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული.**

ამ სფეროში ახალი, უმეტესწილად უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე ორიენტირებული პროექტების განსახორციელებლად ენერგეტიკის სამინისტროში საგულდაგულოდ ემზადებიან. აქ მიაჩნიათ, რომ ახალი საინვესტიციო პროექტები, უწინარესად, უცხოურ ბაზრებზე უნდა იყოს ორიენტირებული თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ მეზობელ ქვეყნებში ელექტროენერგიაზე დიდი მოთხოვნილებაა, რაც ამ ტიპის პროექტების კომერციული სტაბილურობის სერიოზული გარანტიაა. ამასთან, სპეციალისტების საყოველთაო აზრით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საუკეთესო პერსპექტივებია, რადგან უამრავი ჰიდრორესურსი, ფაქტობრივად, ჯერჯერობით გამოუყენებელია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის განხორციელების პერსპექტივებზე ენერგეტიკის სამინისტროში დიდ იმედებს ამყარებენ, სამხრეთ საქართველოში უდიდეს ფარავანის ტბაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაა.



თავდაპირველად, ფარავანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე საქართველოს მთავრობამ და თურქეთის კომპანია „ჯორჯიან ურბან ენერჯიმ“ შეთანხმებას ხელი ორი წლის წინათ მოაწერეს, თუმცა წლეულს, გაზაფხულზე, მშენებლობის ვადების დაწყებასთან დაკავშირებით მასში შესწორებები შეიტანეს. დოკუმენტის თანახმად, „ჯორჯიან ურბან ენერჯი“ სამცხე-ჯავახეთში 78 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურს ააშენებს. გარდა ამისა, მემორანდუმის პირობებით დადგენილია, რომ ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავებულ ელექტროენერგიას ზამთარში ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონების მოსახლეობა მოიხმარს, რომლისთვისაც მშენებლობა, უწინარესად, ახალ სამუშაო ადგილებს ნიშნავს, ხოლო ზამთრობით ელექტროენერგია თურქეთსა და აზერბაიჯანში გაიყიდება.

ფარავნის უნიკალურობიდან, მისი ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, იქ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობაზე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა მთავრობაში მიაჩნიათ, რომ პროექტის განხორციელება გარკვეულწილად ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას წაადგება და ელექტროენერგიის იმპორტს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, სპეციალისტების აზრით, ფარავნის ტბაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ შესაძლოა ადგილობრივი უნიკალური ეკოსისტემა ისე დააზარალოს, რომ ეს დამღუპველი აღმოჩნდეს მთლიანად მხარის ბუნებისთვის, მით უმეტეს, რომ სათანადო ეკოლოგიური და სხვა სახეობის სპეციალური გამოკვლევები, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა.

ვარაუდობენ, რომ ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას თურქეთის კომპანია ყველა შესაბამისი ლიცენზიისა და ნებართვის მიღების შემდეგ დაიწყებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**◉ სისხლის ყივილი**

# ქეცბები და ქეცბაიები ერთმანეთს შეხვდნენ

**ამ რამდენიმე დღის წინათ სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარაში შემდგარი შეხვედრა ქართველებისა და აფხაზების ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი დადასტურება იყო. ერთმანეთს შეხვდნენ აფხაზი ქეცბები და ქართველი ქეცბაიები. როგორც ამ შეხვედრაზე ითქვა, ქეცბები და ქეცბაიები ერთი საერთო წინაპრის – გალის რაიონის მკვიდრის თილაბღან ქეცბას შთამომავლები ყოფილან.**

სოხუმის უნივერსიტეტის პრორექტორმა თამაზ ქეცბამ უზრუნველყო ამ შეხვედრის მოწყობა, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქეცბები და ქეცბაიები. მოწვევა მოუვიდათ ზუგდიდში დროებით მცხოვრებ ქეცბაიებსაც.

„ჩვენ, ზუგდიდში მცხოვრები 22 ქეცბაია, ორგანიზებულად ჩავედით სოხუმში. სოფელ აჩადარაში 200-მდე ქეცბა დაგვხდა. ძალიან გულთბილად მიგვიღეს. გაიმართა გულღია საუბარი, პოლიტიკაზე არ გვისაუბრია. უფრო მეტად სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე ვილაპარაკეთ. გაგრის ადმინისტრაციის უფროსმა ასტამურ ქეცბამ ისიც გვითხრა, რომ აფხაზეთში რესურსები ნორმალური ცხოვრებისთვის საკმარისი არ არისო. მათ საუბარში ასევე იგრძნობდა ის საშიშროება, რომელიც აფხაზებს მოელის რუსებისგან“ – თქვა ზუგდიდში მცხოვრებმა დევნილმა იუზა ქეცბაიამ.

შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელსაც დაევალა ქეცბებისა და ქეცბაიების ფონდის შექმნა, რომლის საშუალებითაც ქეცბები და ქეცბაიები ერთმანეთს დაეხმარებიან. ასევე გადაწყდა, რომ მომავალ წელს ანალოგიური შეხვედრა გაიმართოს ქ. გალში. გათვალისწინებულია გალში დაიდგას თილაბღან ქეცბას ძეგლი.

ქართველი და აფხაზი მოგვარეების შეხვედრა სახალხო დიპლომატიის, ქართველებისა და აფხაზების დაახლოების, ჩატეხილი ხიდის აღდგენის საუკეთესო საშუალებაა. ამ ბოლო ხანს, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მრავალი ადამიანი ჩავიდა აფხაზეთში დასაქმების მიზნით. როგორც ამბობენ, საქმდებიან კიდეც და საკმაო გასამრჯელოსაც იღებენ.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი: რუსეთი – დაუნდობელი, თავხედი, უსინდისო მტერია

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთისგან ელის კონფლიქტის ზონაში ქვეყნის ტერიტორიაზე პროვოკაციების გაგრძელებას. როგორც „საქართველო ონლაინი“ იტყობინება, ამის შესახებ წინა დღით ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა მან.**

– ასეთ პროვოკაციებს ჩვენ კვლავაც მოგვიწყობენ. მოგიწოდებთ, იყოთ მაქსიმალურად ფრთხილად. უნდა გავაძლიეროთ თავდაცვისა და უშიშროების ღონისძიებანი, – განაცხადა სააკაშვილმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა სამხრეთ ოსეთის სამართალდაცვის ორგანოების მიერ სოფელ ტირძნისის მცხოვრები ოთხი მოზარდის დაპატიმრებას. საქართველოს ხელისუფლება ბრალს სდებს ცხინვალის სეპარატისტულ ხელისუფლებას არასრულწლოვანთა გატაცებაში. სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო მოზარდების აღიარება საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და საბრძოლო იარაღის ტარებაში.

„საკითხი შეეხება დაუნდობელ, თავხედ, უსინდისო მტერს, რომელიც გვატყუებს. მაგრამ ჩვენ ჩვენ სიმართლეს თანდათან წავწევთ წინ“, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის სიტყვებით, საქართველოს მთავრობა მუშაობს ამ პრობლემის გადაწყვეტაზე.

РОСБАЛТ

# საქართველო ხსნის „პირველ კავკასიურს“

**გასული კვირის ბოლოს დადასტურდა ინფორმაცია საქართველოში რუსულენოვანი ტელეარხის ამოქმედების შესახებ. იგი ორიენტირებული იქნება ახალი ამბების გაშუქებაზე ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასიიდან. ჩვენ გამოვარკვიეთ, თუ როგორია ახალი ტელევიზიის კონცეფცია, რატომ მონაწილეობს მასში იჩქერიის პირველი პრეზიდენტის ქვრივი და შეუძლია თუ არა ამას გაართულოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა.**

საქართველოში ახალი ტელეარხის, რომლის სახელწოდებაცაა „პირველი კავკასიური“, ამოქმედების შესახებ ჩვენ ვიტყობინებოდით ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს, მაგრამ მაშინ საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელობაში გვაცნობეს, რომ საკითხი შეეხება საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის მაუწყებლობის გაფართოებას ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში თანამგზავრის დახმარებით. გასულ კვირას საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის გენერალურ დირექტორმა გია ჭანტურიამ ქართულ გაზეთ „რეზონანს“ დაუდასტურა, რომ „პირველი კავკასიური“ სტარტს იღებს ახალი წლის დასაწყისიდან. მისი მაყურებლები შეიძლება გახდნენ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის მცხოვრებლებიც. ეს სიახლე უმალვე აიტაცეს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, რომლებმაც გვაცნობეს, რომ ახალი ტელეარხის სახეები იქნებიან იჩქერიის პირველი პრეზიდენტის ქვრივი ალა დუდაევა და ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი ოლეგ პანფილოვი, რომელიც ცნობილია თავისი კრიტიკული დამოკიდებულებით რუსეთის ხელისუფლებისადმი.

„არ მესმის, რატომ გახდა საქართველოში ახალი ტელევიზიის გახსნა რუსეთისთვის ასეთი სენსაცია, – განაცხადა ტელეარხ „ალანიას“ მთავარმა რედაქტორმა ია ბარათელმა. – ახალი არხის გახსნის იდეა ჰაერში ტრიალებს მას შემდეგ, რაც რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დაიწყეს აქტიური ანტიქართული კამპანია. დღეს კავკასია, სამწუხაროდ, არ არის ერთადერთი საინფორმაციო სივრცე. ჩვენი უახლოესი მეზობლებიც – სომხეთი და აზერბაიჯანი – საქართველოს ახალ ამბებს რუსეთის ტელეარხებიდან გებულობენ. ეს პრობლემა მეტად მწვავედ დადგა ომის დროს. ჩვენ გავიგეთ: თუ გვსურს, რომ ჩვენმა მეზობლებმა იცოდნენ ჩვენი პოზიცია, უნდა გაიხსნას საკუთარი ტელევიზია რუსულ ენაზე“.



ახალ ტელეარხზე სამუშაოდ, ქალბატონი ბარათელის სიტყვებით, მართლაც მოიწვევენ ბატონ პანფილოვს და ქალბატონ დუდაევას, აგრეთვე ტელეარხ „ალანიას“ რამდენიმე რუსულენოვან ჟურნალისტს, თუმცა „ალანიას“ კონცეფცია და „ახალი კავკასიურის“ კონცეფცია სერიოზულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. „ალანია“ აშუქებს საქართველოს რეგიონების პრობლემებს, ახალ ტელეარხზე კი დიდი ყურადღება დაეთმობა ახალ ამბებს ჩრდილოეთი კავკასიიდან. „დღეს ჩვენ არ ვიცით, თუ სინამდვილეში რა ხდება მახაჩკალაში, ნაზრანში, გროზნოში, ვინაიდან რუსეთის ტელევიზია ყველაფერს როდი აშუქებს, – ამბობს ქალბატონი ბარათელი. – ჩვენ კი შარშანდელი ომის შემდეგ ძალიან გვაინტერესებს, გვქონდეს ეს ინფორმაცია, რუსეთის მხრიდან თავდასხმის რისკი ხომ კვლავ რჩება. მეზობლად მიმდინარეობს ომი – ინგუშეთში, დაღესტანში, ჩეჩნეთში არ წყდება აფეთქებები. ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რატომ ხდება ეს. ჩვენი პროექტი არ არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ იგი, რასაკვირველია, კეთდება საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით“.

რუსეთისა და საქართველოს ზოგიერთმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებამ გვაცნობა, რომ ახალ ტელეარხს აფინანსებს პოლიტემიგრანტი ბორის ბერეზოვსკი, თუმცა თავად იგი ამ ინფორმაციას უარყოფს. უარყოფენ მას ოფიციალური წყაროებიც თბილისში. „ბერეზოვსკის არ აქვს არავითარი ურთიერთობა ამ პროექტთან, ისევე, როგორც, რომელიმე სხვა პროექტთან საქართველოს ტერიტორიაზე“, – გვაცნობეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში. სხვათა შორის, საქართველოს ოპოზიცია ამ მტკიცებას ეჭვქვეშ აყენებს. „ბერეზოვსკი იყო თბილისში სექტემბერში, და ბადრი პატარკაციშვილის ქვრივს მისი ყოფნის ჩანაწერიც კი აქვს, განაცხადა რუსეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა, ოპოზიციონერმა ეროსი კიწმარიშვილმა. – თბილისში ბერეზოვსკის ყოფნის მიზანი ბადრის მემკვიდრეობა იყო, რომელსაც ჯოზეფ ქეის მეშვეობით სააკაშვილი აკონტროლებს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამისთვის ეხმარებოდეს ბერეზოვსკი რაიმეში სააკაშვილს“. სხვათა შორის, ქართული ოპოზიცია არ უარყოფს იმასაც, რომ ბერეზოვსკის გვარს ახალ ტელეარხთან დაკავშირებით იყენებდნენ განზრახულად, რათა გამოიწვიონ მოსკოვის გაღიზიანება, სადაც ახალ არხს აღიქვამენ, როგორც „მტრულ ხმას“ რუსეთის ტერიტორიაზე.

მოსკოვში უიმისოდაც ეჭვი აქვთ თბილისზე, რომ იგი აწარმოებს ძირგამომთხრელ საქმიანობას ჩრდილოეთ კავკასიაში. ჯერ კიდევ ოქტომბერში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა განაცხადა, რომ საქართველოს სპეციალური სამსახურები კავშირურთიერთობას ამყარებენ „ალ-ყაიდას“ ჩეჩნეთის დაპირისპირების ცნობილი იდეოლოგის დოკა უმაროვის მეშვეობით, რომელზეც რუსეთში გამოცხადებულია ფედერალური ძიება. ამ განცხადებამ თბილისში დიდი ხმაური გამოიწვია. „2001 წელს, როდესაც საქართველოში გაჩნდნენ ჩეჩენი ლტოლვილები, რუსეთმა დაიწყო ჩვენი დადანაშაულება, თითქოს მივიღეთ ჩვენს ტერიტორიაზე ბოევიკები. იგივე კეთდება ამჟამადაც ჩვენი ქვეყნის დისკრედიტაციისთვის“, – ასეთი კომენტარი გაუკეთა სიტუაციას რუსეთის ყოფილმა ელჩმა რუსეთში ზურაბ აბაშიძემ. ოფიციალური თბილისი უმაროვის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტს უარყოფს. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა განაცხადეს, რომ „საგარეო საფრთხე საქართველოსთვის იზრდება“ და მოაწყვეს პანკისის ხეობაში სპეციალური კომისიის გამგზავრების ინიცირება, რომელმაც, სხვათა შორის, ვერ აღმოაჩინა იქ ვერც დიკა უმაროვის და ვერც „ალ-ყაიდას“ სხვა ემისრების ყოფნის კვალი.

ამ ფონზე ახალი ტელევიზიის ამოქმედების იდეამ შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის, მიაჩნია ეროსი კიწმარიშვილს. „ეს ტელევიზია – სააკაშვილის შეცდომაა, – განაცხადა ბატონმა კიწმარიშვილმა. – ნუ დავივიწყებთ, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს თბილისსა და მოსკოვს შორის დაიწყო დაპირისპირება სწორედ ჩრდილოეთ კავკასიის, პანკისის გამო. დღეს სააკაშვილი იმეორებს იგივე შეცდომას: იგი აწარმოებს მოსკოვის პროვოცირების პოლიტიკას, რაც უკვე გახდა აგვისტოს ომის ერთ-ერთი ფაქტორი“.

ამ დროს იჩქერიის პირველი პრეზიდენტის ქვრივმა ალა დუდაევამ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ახალი ტელევიზიის მიზნები „მხოლოდ სამშვიდობოა“ და იგი დაეთანხმა პროექტში მონაწილეობას, ვინაიდან მის ფორმატში შეუძლია „მოიტანოს უფრო მეტი სარგებელი“. ამისთვის ქალბატონმა დუდაევამ სთხოვა კიდეც მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა. „საქართველოში ძალიან ცოტამ თუ იცის იმის შესახებ, თუ რა მოხდა ჩეჩნეთში 90-იანი წლების დასაწყისში, მათ არ აქვთ ჩვენი გამოცდილება, – მიაჩნია ალა დუდაევას. – მაგრამ სიტუაცია მეორდება, რუსეთის ხელისუფლება იყენებს სხვადასხვა მეთოდებს, რათა წაართვას ხალხს თავისი თავისუფლება, თავისი დემოკრატიული არჩევანი. თანაც ადამიანის სიცოცხლეს ყურადღებასაც კი არ აქცევენ. მე არ მსურს პოლიტიკა, მე მინდა დავიცვა ადამიანების უფლება სიცოცხლეზე. თუ ჩვენ ტელეეთერში დავიწყებთ ასეთ დისკუსიას, ვფიქრობ, შევძლებთ გავაერთიანოთ ჩვენი ხალხები, რომლებიც გათიშულია ომისა და პოლიტიკისგან“.

ოლგა ალიონოვა

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**გერმანია ბერლინის კედლის დაცემის 20 წლისთავს აღნიშნავს**

ბრანდერბურგის კარებთან მოედანზე დააყენეს ათასი პენოპლასტის ბლოკი, რომლებიც სიმბოლურად ბერლინის კედელს ასახავენ. თითოეული ამ „აგურის“ სიმაღლე 2,5 მეტრია, სიგანე 1 მეტრი, იწონის 25 კილოგრამს და მასზე ასახულია თემები, რომლებიც უკავშირდებიან მშვიდობასა და თავისუფლებას. ისინი შექმნეს სხვადასხვა ქვეყნის მხატვრებმა. ამ სიმბოლური კედლის ნგრევას დაიწყებს პოლონეთის ექს-პრეზიდენტი ლეხ ვალენსა.

* * *

**სალვადორის მთავრობამ მთელ ქვეყანაში შემოიღო საგანგებო მდგომარეობა, გრიგალისგან უკვე დაიღუპა 124 კაცი**

ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვებით, სალვადორისთვის მიყენებული ზარალი „აღწერას არ ექვემდებარება“. პარლამენტარები განიხილავენ ქვეყანაში გლოვის გამოცხადების საკითხს. ყველაზე დაზარალებულ დეპარტამენტებში შეიქმნა 25 საერთო საცხოვრებელი 7 ათასი უსახლკაროსთვის. გრიგალი უახლოვდება კუბას და ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროს, ლუიზიანაში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი.

* * *



**მიწისძვრა ინდონეზიაში: დაშავდა დაახლოებით 40 კაცი**

მიწისქვეშა ბიძგები, რომელთა მაგნიტუდა 6,7 ბალი იყო, მოხდა ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში კუნძულ სუმბავის რაიონში. დაღუპულთა შესახებ ცნობები არ შემოსულა. სტიქიის დარტყმა იგრძნეს აგრეთვე მეზობელ კუნძულ ლომბოკზეც, რომელიც ცნობილია თავისი კურორტებით. მატარამის ადგილობრივ ადმინისტრაციულ ცენტრში პანიკაა.

* * *

**ბრიტანელი სამხედროები ავღანეთში კიდევ 4-5 წელი დარჩებიან**

ამის შესახებ განაცხადა დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების თავდაცვის ხელმძღვანელმა, ავიაციის მთავარმა მარშალმა სერმა ჯონ სტირაპმა. ამავე დროს მან განაცხადა, რომ არსებული ინფორმაციის თანახმად, „ალ-ყაიდას“ ყველა ბოევიკმა და სტრუქტურამ დატოვა ავღანეთის ტერიტორია და ამჟამად იმყოფებიან „პაკისტანის პატარა რაიონში“.

* * *

**ავღანეთის ახალ მთავრობაში არ იქნებიან კორუფციონერები, აცხადებს კარზაი**

სახელმწიფო სამსახურში ხალხს მიიღებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად იქნებიან ისინი კომპეტენტურები და ნიჭიერები, მათ შორის ქალებიც. ამავე დროს, ავღანეთის ლიდერი ქვეყანაში კორუფციის აყვავებაში ბრალს ნაწილობრივ სდებს დასავლეთის ქვეყნებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ სხვადასხვა რეკონსტრუქციულ პროექტებს.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

### რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა:** ვარ მძიმე ავადმყოფი, გასულ წელს, დაწესებულების ხელმძღვანელობამ მომცა ერთჯერადი დახმარება – 300 ლარი. გთხოვთ, განმიმარტოთ, მიიღება იგი მხედველობაში დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების დროს.

ანა ბორცვაძე

**პასუხი:** ერთჯერადი დახმარების თანხა დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება.

* * *

**კითხვა:** 2008 წლის 20 მაისს, მეტროთი მგზავრობისას ჩანთიდან ამომაცალეს შრომის წიგნაკი და საფულე. ფულზე არ ვდარდობ, მაგრამ შრომის წიგნაკში მთელი ჩემი 41-წლიანი შრომითი საქმიანობა იყო აღნიშნული, როგორ მოვიქცე, რომ შრომის წიგნაკი აღვადგინო ან შრომის სტაჟი სხვა გზით დავადასტურო.

ნონა აბდუშელიშვილი

**პასუხი:** შრომის წიგნაკის დაკარგვის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ აღნიშნული ორგანო დაადასტურებს წიგნაკის დაკარგვის ფაქტს, მათ მიერ გაცემული საბუთის საფუძველზე ორგანიზაცია, რომელშიც ბოლოს მუშაობდით, გასცემს შრომის წიგნაკის დუბლიკატს, რომელსაც იგივე ძალა აქვს, რაც დედანს. თუ აღნიშნული ვერ მოხერხდება, შეგიძლიათ შრომის სტაჟი აღიდგინოთ საარქივო მონაცემების საფუძველზე გაცემული ოფიციალური ცნობებით.

* * *

**კითხვა:** გთხოვთ, მაცნობოთ, ბიულეტენის წარდგენის დღიდან, რამდენ დღეში უნდა მომეცეს კუთვნილი თანხები და საიდან?

ლაურა თუთბერიძე

**პასუხი:** 2007 წლის პირველი იანვრიდან მოქმედი კანონით, დამსაქმებელი (დაწესებულება) ვალდებულია საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში ან აანაზღაუროს დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი ან წერილობით შეატყობინოს დასაქმებულს, რა მიზეზით ეთქვა უარი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაცემაზე.

---

საქმე №2-3-09

## გარდაბნის რაიონული სასამართლო

# განჩინება

05 ნოემბერი 2009 წელი — ქ. გარდაბანი

გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილმა განიხილა სს „თბილსრესის" გაკოტრების კრედიტორების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის განცხადება გაკოტრების კრედიტორების საქართველოს ფინანსთა სამინმისტროსა და საქართველოს მსხვილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის წერილობითი თანხმობის (როგორც სს „თბილსრესის" კრედიტორთა კრების შედეგებისა) დამტკიცების თაობაზე.

**დაადგინა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.
2. დამტკიცდეს 2009 წლის 4 ნოემბრის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ს.ს. „თბილსრესის" გაკოტრების მმართველსა და სს „თბილსრესის" კრედიტორებს შორის 2008 წელს დადებული ხელშეკრულებისა და 2) სს „თბილსრესის" სამეურვეო ქონების გასხვისების მიზნით აუქციონის გამოცხადების თაობაზე, როგორც სს „თბილსრესის" კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება.
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით მისი მხარეებზე გადაცემის მომენტიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში გარდაბნის რაიონულ სასამართლოში (ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №14).

მოსამართლე: ხელმოწერილია
**ქ. ლუაშვილი**

ასლი დედანთან სწორია
კანც. გამგე: **ნ. სვანი**

---

## აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი

### აცხადებს ღია კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. მარკეტინგული სტრატეგიის, დარგობრივ-რეგიონული ეკონომიკისა და ინტეგრაციის განყოფილების გამგე;
2. საწარმოო პოტენციალის, ინვესტიციური და ინფრასტრუქტურის ეკონომიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

ამ თანამდებობების დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება და სათანადო საბუთები უნდა შემოიტანონ ამ განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა (10 დეკემბერი) შემდეგ მისამართზე: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი № 37, კორპ. 14, საკონკურსო კომისია. საკონტაქტო პირი - ე.ძაგანია. 25-81-29; 25-81-19. აქვე შესაძლებელია დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ.

---

№2/3134-08

# გადაწყვეტილება

## საქართველოს სახელით

16 ოქტომბერი 2009 წ. — ქ. თბილისი

### თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლევან გვარამია სხდომის მდივანი ფ. გოგიშვილი

**განმცხადებელი** — შპს „ბიბო"
**წარმომადგენელი** — მამუკა ჯაშიაშვილი

**დაინტერესებული პირები — აქციონერები:** სს „კრწანისი 99"-ის აქციონერები ანა ავკოფაშვილის, ქეთევან აზარიაშვილის, ასმიკა აკოფოვის, თენგიზ ალექსიშვილის, რაჟდენ ანანიაშვილის, ბესარიონ არჩვაძის, მარია ასათიანის, თამარა ბასიშვილის, ნანა ბახტაძის, მანანა ბედელაძის, ნინო ბერაძის, ვერა ბერიაშვილის, ზაურ ბიწაძის, ნათელა ბოსტოღანაშვილის, ნინო ბუგულაშვილის, თინა გაგნიძის, ევა გალოიანის, მადონა გაჩეჩილაძის, ზურაბ გვაზავას, მაია გიგიტაშვილის, ციცინო გიგუაშვილის, ნინო გოგეიშვილის, თამარ გოგაძის, ტასო გოგილაშვილის, როზა გრიგორიანის, სულიკო გულუაშვილის, ჟუჟუნა გურგენოვის, შოთა დავითაშვილის, ივეტა ეგიზაროვას, გიორგი ეფხოშვილის, ნანა ექვთიმაშვილის, ევგენია ველიანის, ციური თავშავაძის, ნინა იგითხანოვის, ნანა ირემაძის, პანტელეიმონ კაზარიანის, ხანუმ კაკანოვის, რიმა კარაპეტიანის (არაქელოვასი), ლეილა კარაიანის, ფოკე კასოევის, კლაუდია კაულინას, ვართანუშ კნიაზიანის, ზაირა კობახიძის, ვლადიმერ კოვალიოვის, ალექსანდრა კოტენევას, მერაბ კოხრეიძის, ჟუჟუნა კრიალაშვილის, ირინე კუსისის, გიორგი კუჭუხიძის, ნინო ლაკიას, ნანა ლეშჩევას, ზაილინა მაზმიშვილის, ლიზა მაისურაძის, მირა მაისურაძის, ჟასმინა მაკარევიჩის, მერაბ მამულაშვილის, მარია მამონტოვის, ნუგზარ მაღრაძის, ქეთევან მაღრაძის, მედიკო მელქაძის, თინათინ მენაბდის, გიორგი მერაბიშვილის, დავით მირუაშვილის, ქეთევან მირუაშვილის, თამარა მოდებაძის, ვახტანგ მოსეშვილის, რიტა მოცრაძის, ნიგარა მურადოვის, ჟუჟუნა მორადოვის, ვახტანგ მუსხელაძის, მარია მუსტოვას, ვაჟა ნადირაძის, ბიურეჩიკა ნერსესიანის, ნორიკ ნერსესიანის, ევგენია ნურბეკიანის, ანაიდა ორგანეზოვის, ნონა ოთარაშვილის, ნინა პანკოვას, ეთერ პარუნაშვილის, რაჩიკა პოღოსიანის, ტარიელ ჟორჟოლაძის, ია რამიშვილის, ვენერა რეხვიაშვილის, დიმიტრი რიზაევის, ოლღა რუხაძის, ლეილა საააკაშვილის, დავით საკინაშვილის, სოფიო სარიევის, სოფიო სალთხუციშვილის, თამარა სტრიგუნოვას, ნანული სუხიაშვილის, თინა სხილაძის, მარინე ტატიშვილის, ქეთევან ტოპეშაშვილის, ნადეჟდა ტორჩენავას, რიტა ტუკვაძის, შამო უსოევის, თამილა ფირიევის, ვერა ფხაკაძის, ნინა ქათამაძის, ლია ქაიხოსროშვილის, აზა ქართველიშვილის, გივი ქაცარავას, ტარიელ ქაჯაიას, ცისანა ქელეხსაშვილის, ზინა ქვლივიძის, ნინა ქუთათელაძის, დეზდემონა ქუმსიაშვილის, ევა ყაულაშვილის, არამ შალიკაშვილის, ლიანა შატბერაშვილის, ლილი შურდუკოვას, ნელი ჩერნიკოვას, თამარ ჩეტრეკაშვილის, ანია ჩობანიანის, ლიანა ცომაიას, რევაზ ცომაიას, დავით ცხვირაშვილის მიმართ, ლალი ჭუმბურიძის, ელეონორა ჭყოიძის, შუშანა ხაჩატუროვის, კარინე ხეჩოიანის, ბადრიჯან ჯამალოვასა და ტატიანა ჯაყელის.

**ზეპირი მოსმენით განიხილა** შპს „ბიბოს" განცხადების გამო სამოქალაქო საქმე №2/3134-08 აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-ე, 247-ე, 249-ე, $309^{14}$-ე, $309^{15}$-ე მუხლებით და

**გადაწყვიტა:**

1. განმცხადებლის შპს „ბიბოს" განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. სს „კრწანისი 99"-ის საწესდებო კაპიტალის 98.13266 პროცენტის შესაბამისი აქციების მფლობელ აქციონერს, შპს „ბიბოს" ნება დაერთოს სს „კრწანისი 99"-ის საწესდებო კაპიტალის დარჩენილი 1,867341 პროცენტის შესაბამისი აქციების გამოსყიდვაზე დაინტერესებულ პირთაგან.
3. აქციის ფასად განისაზღვროს 9 (ცხრა) ლარი და 10 (ათი) თეთრი.
4. აქციათა გამოსყიდვის თარიღად განისაზღვროს 2009 წლის 1 დეკემბერი.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მდებარე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მეშვეობით.

მოსამართლე
**ლევან გვარამია**

---

# სს „თბილსრესის" გაკოტრების მმართველის განცხადება

## სს „თბილსრესის" სამეურვეო ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ

1. სს „თბილსრესის" გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს სს „თბილსრესის" სამეურვეო ქონების რეალიზაციის შესახებ საქართველოს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის 37-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად:

მოვალე: სააქციო საზოგადოება „თბილსრესი"
იურიდიული მისამართი: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №2.
საიდენტიფიკაციო კოდი: 226 521 653.

2. სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გაიმართება 2009 წლის 7 დეკემბერს 14.00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №2;

3. აუქციონზე ერთ ლოტად გამოტანილი იქნება სს „თბილსრესის" სამეურვეო ქონება:

— სს „თბილსრესის" ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები – უძრავ-მოძრავი ქონება (ნარჩენი საბალანსო ღირებულება: 49 813 279, 84 (ორმოცდაცხრა მილიონ რვაას ცამეტი ათას ორას სამოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) 1116 ერთეული;

— მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით 136,61 ჰა;

— სს „თბილსრესის" ბალანსზე რიცხული საბრუნავი საშუალებები (მასალები) (საბალანსო ღირებულებით — 16 857 224,16 (თექვსმეტი მილიონ რვაას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდაოთხი ლარი და თექვსმეტი თეთრი);

4. სამურვეო ქონება განლაგებულია: ქ. გარდაბანში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კალინინოში; გარდაბნის მუნციპალიტეტის სოფელ ქესალოში; ქ. თბილისი, დაბა კოჯორში, ბეთანია. ერთობლიობაში აღნიშნული ქონება ემსახურება ელექტროენერგიის წარმოების (გენერაციის) საქმიანობას. დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №2;

5. სამეურვეო ქონების შეძენის სურვილის შესახებ განაცხადების მიღება იწარმოებს ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან. მონაწილეობაზე განცხადებების მიღება შეწყდება 2009 წლის 7 დეკემბერს 12.00 საათზე;

6. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს;

7. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი შეადგენს 321 753 828 ლარი (სამას ოცდაერთი მილიონ შვიდას ორმოცდაცამეტი ათას რვაასოცდარვა ლარი);

8. „ბე"-ს სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს ლარებში. ბიჯი — 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

9. მხარეებს შორის ანგარიშსწორება იწარმოებს ლარებში, ანგარიშსწორების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული სავალუტო კურსის შესაბამისად;

10. განცხადებები მიიღება მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №2; საკონტაქტო ტელეფონები: + 995 55 22 22 44; +995 99 58 89 45; (824) 17 00 87. ფაქსი — (824) 18 07 45; ელ. ფოსტა: — tbilsresi@tbilsresi.ge

11. გამარჯვებულის გამოვლენის ძირითადი კრიტერიუმები:
— მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება;
— ვალდებულების აღება აუქციონის პირობების დაკმაყოფილებაზე;

12. აუქციონის პირობები:
ა) აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხის გადახდა აუქციონის ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
ბ) მე-3 და მე-4 ენერგობლოკების დადგენილი წესით ექსპლუატაცია და მათი გამართული ფუნქციონირება;
გ) არსებული სიმძლავრის შენარჩუნება მინიმუმ 2025 წლამდე;
დ) სხვა საააუქციონო პირობები, რომლებსაც აუქციონში მონაწილეობის მსურველი უნდა გაეცნოს მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №2;

13. სხვა დებულებები:
— აუქციონში მონაწილეობის მისაღებად პირი გაკოტრების მმართველს წარუდგენს შესაბამის განაცხადს და „ბე"-ს გადახდის ქვითარს (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი). ამასთან ფიზიკურ პირებს დამატებით მოეთხოვებათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ხოლო იურიდიულ პირებს — წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის, ორგანიზაციის წესდების (დამოწმებული ასლი) და სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა (ბოლო მდგომარეობით); თუ განაცხადი და მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნება არასრულყოფილად, განაცხადი არ განიხილება.
— აუქციონის შედეგები აისახება აუქციონის შედეგების ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სს „თბილსრესის" გაკოტრების მმართველი და აუქციონში გამარჯვებული.
— აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე უარი ან/და დადგენილ ვადაში დარჩენილი თანხის გადაუხდელობა აუქციონში გამარჯვებულს უკარგავს „ბე"-ზე მოთხოვნას.

13. „ბე" და ძირითადი თანხა ჩარიცხული უნდა იქნეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე: რესპუბლიკა ბანკის დელისის ფილიალი, სავალუტო ფონდი: 10034130002. საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, სალარე ანგარიში: 179435200.

14. აუქციონში გამარჯვებულმა ქონების ღირებულება („ბე"-ს გამოკლებით), აუქციონის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა უნდა ჩარიცხოს გამოცხადებულ საბანკო ანგარიშზე.

15. სხვა მონაწილეებს გადახდილი „ბე" უკან უბრუნდებათ მოთხოვნის წარდგენიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში;

სავალდებულოა:

შენიშვნა 1: აუქციონის ოქმი წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, რომელიც იდება მესამე პირის — სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც გულისხმობს: გაკოტრების პროცესის დასრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მონიტორინგის განხორციელებას აუქციონის პირობების და ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათი დარღვევის შემთხვევაში სანქციების გამოყენებას, მათ შორის ნაკისრი ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობისა და დაწესებულ ვადაში შესაბამისი ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისა და ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცევის ჩათვლით.

შენიშვნა 2: აუქციონის ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის სანქციების განსაზღვრა მოხდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის №1-1/1366 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით" პირობებიანი აუქციონის მიზნებისთვის განსაზღვრული სანქციების შესაბამისად (მსგავსად).

სს „თბილსრესის" გაკოტრების მმართველი
**დავით ჩაჩხიანი**

ჭადრაკი

# მეექვსედ — ოლიმპზე, ამჯერად — ვეტერანებში



**იტალიის ქალაქ კონდინოში დამთავრდა ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ქართული ჭადრაკის ლეგენდა ნონა გაფრინდაშვილიც მონაწილეობდა.** თბილისელმა დიდოსტატმა 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა რუსი ელენა ფათალიბეკოვა. 6,5 ქულით მესამე ადგილზე ესტონელი ტატიანა ფომინა გავიდა.

მამაკაცებში უძლიერესი იყო ხორვატი მიშო ცებალო. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, ლატვიელ იანის კლოვანსა და რუს ვიტალი ცეშკოვსკის ხვდათ.

შეხვედრა

# მედალოსნები დააფასეს



**საქართველოს მოჭადრაკე ქალებმა (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო ხუხაშვილი, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი, კაპიტანი — ნინო გურიელიძ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავეს.** ვერცხლის მედალოსნები სახელმწიფო ორგანიზაციებმაც დააფასეს — შეხვედრები მოუწყვეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, თბილისის მერიაში, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში. ბატონმა ნიკა რურუამ ქართველ დიდოსტატებს წარმატება მიულოცა და ფასიანი საჩუქრები გადასცა, თან აღუთქვა, რომ სახელმწიფოსგან თანადგომა არ მოაკლდებათ.

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

რაგბი

# იღბლიანი დებიუტი

**ამას წინათ რაგბის კავშირის ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს A ნაკრები** (ყიასაშვილი, წიკლაური, ჩხიკვაძე, კორკელია, ლოსაბერიძე, ნინიძე, ჯიმშელაძე, ნიჟარაძე, გეგენავა, ხმალაძე, სამხარაძე, კაჭარავა, ასეიშვილი, მირცხულავა, ჭყონია, ბრეგვაძე, კაკოვინი, ნაცარაშვილი, პავლოვი, უჩავა, სურგულაძე, თავართქილაძე, კოლელიშვილი, საყვარელიძე, მაისურაძე, სირბილაძე, მწვრთნელები — ლევან მაისაშვილი, ნიკოლოზ ჭავჭავაძე), რომელმაც პირველი მატჩი გამართა პოლონეთის ნაკრებთან და 54:5 გაიმარჯვა.



**ჩვენგან ლელოები გაიტანეს:** ნინიძემ, უჩავამ, კოლელიშვილმა, ხმალაძემ (2ძ, გეგენავამ (2ძ წიკლაურმა; გარდასახვა ზუსტად შეასრულეს ყიასაშვილმა (4ძ, წიკლაურმა (2ძ და გეგენავამ. სტუმართაგან ერთადერთი ლელო ნაროვიშის ანგარიშზეა.

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**გაჭიანურებული ჩავარდნის შემდეგ თბილისის „დინამომ“, როგორც იქნა, კუდი მოიქნია და პირველი მარცხი აგემა XXI ეროვნული ჩემპიონატის აწ უკვე ყოფილ ლიდერს „ზესტაფონს“ — 2:0 (კოშკაძე, კაშიაძ.**

მასპინძელთა გამარჯვებას წონას ტრავმირებული თავდამსხმელების მერებაშვილისა და ვაწაძის არყოფნა მატებს, ყვირილასპირელთა წარუმატებლობა კი, გარკვეულწილად, მათი თავკაცის, „თეთრ-ლურჯთა“ ყოფილი დამრიგებლის გია გეგუჩაძის შეცდომას უნდა მივაწეროთ, რომელიც კვასხვაძეს არ ენდო და მეკარედ მამალაძე დააყენა, ამ უკანასკნელმა კი ერთხელაც ვერ იხსნა პარტნიორები.

„ცხინვალმა“ ყინჩად შეუტია ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს „ვიტ ჯორჯიას“ და უკვე მესამე წუთზე დაწინაურდა (მაისურაძძ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფიფას არბიტრმა ლევან სილაგავამ მინდვრიდან საეჭვო ვითარებაში გააძევა დევნილთა კლუბის დაცვის ბურჯი ბაქრაძე, შეხვედრის სცენარი რადიკალურად შეიცვალა. ვეტერინარებმა მშვენივრად ისარგებლეს რიცხობრივი უპირატესობით და შესვენების შემდეგ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს — 2:1. აღსანიშნავია, რომ მათგან „დუბლი“ კვახაძემ შეასრულა.

**XIV ტურის დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:** „სამტრედია“ — „ლოკომოტივი“ 2:0, „სიონი“ — „ოლიმპი“ 0:6, „გაგრა“ — „ბაია“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ოლიმპი“ — 33, „ზესტაფონი“ — 31, „ვიტ ჯორჯია“ — 29 ქულა.

**21 ნოემბერს ითამაშებენ:** „ოლიმპი“ — „დინამო“, „ზესტაფონი“ — „ვიტ ჯორჯია“, „ბაია“ — „სიონი“, „ლოკომოტივი“ — „გაგრა“, „სამტრედია“ — „ცხინვალი“.

* * *

**იტალია.** „ინტერი“ — „რომა“ 1;1, „ატალანტა“ — „იუვენტუსი“ 2:5, „ლაციო“ — „მილანი“ 1:2, „უდინეზე“ — „ფიორენტინა“ 0:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „მალიორკა“ 4:2, „ატლეტიკო“ — „რეალი“ 2:3, „სევილია“ — „ვილიარეალი“ 3:2, „ვალენსია“ — „სარაგოსა“ 3:1.

**ინგლისი.** „ჩელსი“ — „მანჩესტერი“ 1:0, „ვულვზი“ — „არსენალი“ 1:4, „ტოტენჰემი“ — „სანდერლენდი“ 2:0, „სიტი“ — „ბარნლი“ 3:3.

**გერმანია.** „ლევერკუზენი“ — „აინტრახტი“ 4:0, „ჰანოვერი“ — „ჰამბურგი“ 2:2, „ბაიერნი“ — „შალკე“ 1:1, „ვერდერი“ — „ბორუსია“ 1:1.

**საფრანგეთი.** „ლიონი“ — „მარსელი“ 5:5(!ძ. „ლილი“ — „ბორდო“ 2:0, „პარი სენ-ჟერმენი“ — „ნიცა“ 0:1.

კალათბურთი

# უკვე ათი



**ვაჟთა XIX ეროვნულ ჩემპიონატში მატებაა როგორც რაოდენობრივი, ისე გეოგრაფიული თვალსაზრისით. უპირველესად, რიცხოვნობის შესახებ.**

როცა სუპერლიგის ორგანიზატორები თავს იმტვრევდნენ, რვა გუნდზე შეედგინათ გათამაშების კალენდარი თუ ცხრაზე, უცებ მათთან ათი კლუბის განაცხადი შევიდა. ისინი ორ წრედ ითამაშებენ და პლეი-ოფების იმ რვა მონაწილეს გამოავლენენ, ჩემპიონობისა და მედლებისთვის რომ იბრძოლებენ.

რაც შეეხება რეგიონებს, მათგან ტურნირს სოხუმელები და ბათუმელები დაუბრუნდნენ, ხოლო ჭიათურის „მერანი“ პირველად ცდის ძალებს.

**გაუწყებთ სატარტო შეხვედრათა შედეგებს:** „ენერჯი ინვესტი“ — „მერანი“ 110:51, საუ — სამედიცინო აკადემია 71:64, თსუ — შსს 88:83, ბათუმი — „დინამო“ 92:79, „ავიამშენი“ — სოხუმი 88:82.

**შემდეგი ტური:** „ენერჯი ინვესტი“ — ბათუმი (13 ნოემბერიძ, „მერანი“ — სამედიცინო აკადემია, საუ — სოხუმი, „ავიამშენი“ — შსს, თსუ — „დინამო“ (15 ნოემბერიძ.

ინტერნეტიდან

## ჰიტლერი — გერმანიის ნაკრების მწვრთნელი?

**9-დან 15 წლამდე ასაკის ბრიტანელი ბავშვების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ადოლფ ჰიტლერი იყო ფეხბურთში გერმანული გუნდის მწვრთნელი. ასეთი შედეგები აჩვენა ორი ათასი ინგლისელი მოსწავლის გამოკითხვამ, როდესაც უნდოდათ გაეგოთ, თუ როგორ იცოდნენ მათ ორივე მსოფლიო ომის ისტორია.**



როგორც იქაური გაზეთები წერენ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შესახებ ნისლიანი ალბიონის მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებამ დამთრგუნველი შედეგები მოიტანა. მაგალითად, ბავშვთა მეოთხედს მიაჩნია, რომ ისტორიაში პირველი ატომური ბომბი ხიროსიმაში კი არა, პერლ-ხარბორში ჩამოაგდეს.

ყოველი მეექვსე ბრიტანელს მიაჩნია, რომ საშინელებათა ბანაკი ოსვენციმში იყო მხოლოდ და მხოლოდ გასართობი პარკი. ყოველი მეთორმეტე კი ფიქრობს, რომ „ბლიცკრიგი“ არის მეორე მსოფლიო ომის შედეგების დასუფთავება.

„ბავშვების ზოგიერთი პასუხი შოკში გაგდებს, — განაცხადა ფონდ „ერსკინის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ჯიმ პენტონმა, — გამოკითხვამ აჩვენა, რომ ვეტერანებზე ზრუნვას დაემატა ახალგაზრდობის წყაროებზე მუშაობაში განათლების აუცილებლობის მოთხოვნაც.

## ვიერის უძილობა განაღდებული აქვს

**იტალიის ნაკრებისა და „ინტერის“ ყოფილი თავდამსხმელს კრისტიან ვიერის ახლო მომავალში უძილობა გასტანჯავს. საქმე ისაა, რომ მისი სატრფო — მსახიობი და ტელეწამყვანი მელისა სატალოს-ანჟელესში მიემგზავრება ქვედა თეთრეულის რეკლამის კასტინგზე. ლამაზმანს უნდა, დადგეს ისეთი ფოტომოდელებისგვერდით, როგორნიც არიან ჟაზელ ბუნხენი, ბარ რაფაელი, ადრიანა ლიმა. მათ ხომ სწორედ კომპანიასთან Victorias Secret აქვთ კონტრაქტები.**

ამერიკის შეერთებულ შტატებში მელისა მარტო კი არ წავიდა, არამედ დობილის სიმონა სალევემინის კამპანიაში.

ფოტოსესიების დასრულების შემდეგ ქალბატონები ცივილურად დაისვენებენ კალიფორნიაში, შოპინგსაც რომ არ გაუშვებენ ხელიდან. იციან რა ვიერის ეჭვიანი ხასიათი, ფიქრობენ, რომ ის მაინც და მაინც კარგ განწყობაზე არ იქნება.



ოქტომბრის ბოლოს ვიერიმ დიდი ფეხბურთიდანწასვლა გადაწყვიტა. ახლა კი მას სასამართლო აქვს „ინტერთან“ და ტელესაკომუნიკაციო კომპანიასთან, ოღესღაცმის პირად ცხოვრებაში ჩარევის გამო. როგორც ამბობენ, „შავცისფერების“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კერძო დეტექტივები დაიქირავა ჭირვეული მოთამაშის მისაყურადებად. ვიერი ამ საქმიდან 21 მილიონ ევროს მოელის.

ფაქტი

# მარადონა ლუდს „მიაწვა“

**„ბრაზილიაში ყველაფერ საუკეთესოს პელე ჰქვია“, — დიდი ხანია, ამას ამტკიცებს ფეხბურთის მეფე.**

პელესთან მუდამ კონკურენციაში მყოფმა არგენტინელმა ფეხბურთის ლეგენდამ დიეგო მარადონამ გადაწყვიტა, მარტო მინდორზე კი არა, აქაც გაჯიბრებოდა ბრაზილიელს. და აი, მექსიკურმა ლუდის კომპანიამ გამოუშვა მარადონასადმი მიძღვნილი ლუდი. არგენტინული ფეხბურთის მაისურის მსგავსად სტილიზებულ ეტიკეტზე აწერია ნომერი „ათი“ და მარადონა.



კომპანია აპირებს კიდევ სხვა სპორტსმენების „გაუკვდავებას“ ლუდის ახალი ნომრებით.




ამა თუ იმ საქონლისთვის საკუთარი სახელის მინიჭება (თუ მიყიდვაძ უცხო არაა სპორტსმენებისთვის. სარეკლამო პროექტებში რეკორდსმენია დევიდ ბექჰემი. მამაკაცთა პარფიუმერიასაც კი რომ უშვებს. არის ტელეფონი „მარია შარაპოვა“, მიხაელ შუმახერმა კი ხუთი მილიონ დოლარად დართო ნება, მისი სახელი ეწოდებინათ ცათამბჯენისთვის დუბაიში. მოკრივე მუხამედ ალიმ კი თავისი სახელი 50 მილიონ დოლარად მიჰყიდა კომერციულ ფირმას — რასაც გინდათ, იმას დაარქვითო.

◉ სკოლის წლები

# შეხვედრა 47 წლის შემდეგ

**მე-5 საშუალო სკოლა იმ დროისთვის სოხუმში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. 1962 წელს იგი 29 ბავშვმა დავამთავრეთ და იმავე წელს ყველანი ჩავირიცხეთ სსრკ-ის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ბევრი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, ექიმი და სხვადასხვა დარგის უმაღლესი რანგის სპეციალისტი გახდა.**

წლები გადიოდა. ჩვენ თვალყურს ვადევნებდით თანასკლასელთა წინსვლას, რაც ძალზე გვახარებდა, განვიცდიდით დიდ ტკივილს მეგობრების გარდაცვალების გამო. მაგონდება, როგორ დაგვწყდა გული ოლღა მოძღვრიშვილის, მზია ფირხაძისა და შოთა ხუბელაშვილის ისრაელში გამგზავრების გამო. იმ დროს ხომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე შესაძლებელი გახდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და კვლავ ერთმანეთის ნახვა. იმედი არც დღეს დაგვიკარგავს, რომ ისინი ერთ მშვენიერ დღეს ჩამოგვაკითხავენ საქართველოში.

ამ წლების განმავლობაში დავკარგეთ მეგობრები: ვიტალი დარსანია, ოთარ ცხადაია, ვახტანგ ცხაკაია, ლუიზა ჟვანია, რაულ სალია, რაულ კუპრავა...

მიუხედავად გადატანილი მრავალი საერთო თუ პირადი ტრაგედიისა, თითოეულ ჩვენგანში ყოველთვის იყო დიდი სურვილი ერთმანეთის ნახვისა, მაგრამ მოხდა ისე, რომ თანაკლასელთა შეხვედრას 47 წელი დასჭირდა.

წლეულს აპრილში როლანდ დუდუჩავა შემეხმიანა და კლასელთა შეხვედრის წინადადება წამოაყენა, რამაც ძალიან გამახარა. დავიწყეთ მისამართების დაზუსტება, ძებნა ნაცნობებში, „ოდნოკლასნიკებში“, „ფეისბუქში“ და ა. შ.

დაზუსტდა თანაკლასელების მისამართები, დაინიშნა შეხვედრის დღე და 24 ოქტომბერს რესტორან „გურულების ეზოში“ 15 კლასელი 2 პედაგოგთან ერთად შევიკრიბეთ.

64-წლისანები შვილებით, შვილიშვილებით დახუნძლულები, უმრავლეს შემთხვევაში 47 წლის უნახავები, კვლავ 17 წლის გოგო-ბიჭებად ვიქეცით.

იყო მოგონებები: სკოლის, ბოლო ზარის, გამოშვების სალამოსი, იყო დიდი მონატრება და სიხარული, ენით აუწერელი ემოციები, დიდი მადლიერება პედაგოგებისადმი, ითქვა „რომ არა ასეთი კარგი მასწავლებლები, ჩვენ ასეთები არ ვიქნებოდით“. იყო პედაგოგების ჩვენდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა. ჩვენთვის სასიამოვნოდ განსაცვიფრებელი იყო ხშირი სიმღერები სოხუმზე, აფხაზეთზე, რომელსაც თურმე მეზობელი მაგიდიდან თბილისელები უკვეთავდნენ ჩვენთვის.

შეხვედრაზე მრავალი სადღეგრძელო შეისვა. იყო აფხაზი მეგობრების სადღეგრძელოც, რომელიც ყველამ დიდი სითბოთი და სიყვარულით მიიღო.

ჩვენს თაობას ხომ ძალიან ბევრი რამ აკავშირებს აფხაზეთთან და აფხაზებთან. ჩვენ არაერთი აფხაზი (ვენერა ბარციცი, ზოია ძორძიაძ მასწავლებელი გვყავდა.

შეხვედრა მეგობრებისა და მეგობრობის სადღეგრძელოთი დასრულდა.

ყველასათვის დიდი ემოციის მომგვრელი აღმოჩნდა საქართველოს ქალთა საბჭოს სიურპრიზი – საზეიმო ტორტი და გამოშვების სურათი სოხუმის ხედით.

ბოლოს იყო შეთანხმება და დიდი სურვილი, რომ სკოლის დამთავრების 50 წელი სოხუმში აღვნიშნოთ.

**როზა კუხალაშვილი**

◉ შეხვედრა

# „თაობათა შორის კავშირი ჩვენი ქვეყნის სიმტკიცისა და ძლიერების საწინდარია“...

**ამ დღეებში სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისა და საქართველოს შრომის ვეტერანთა და პენსიონერთა კავშირის „ამაგდარის“ წევრები.**

ღონისძიებას უძღვებოდნენ „ამაგდარი“ კოორდინატორი რომან მოსეშვილი და ახალგაზრდული ცენტრის წევრი გიორგი ფარეშიშვილი.




„თაობათა შორის კავშირი, შეხვედრები და საუბრები დიდი საქმის დასაწყისია. ჩვენი შეკრების მიზანია ხანდაზმულთა შრომითი და ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარება ახალგაზრდებისთვის, თაობათა შორის კავშირის განმტკიცება“, – განაცხადა რომან მოსეშვილმა.

მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ „ამაგდარის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის ვახუშტი ქიზიყურაშვილის გამოსვლაც. როგორც მან განაცხადა, კავშირი თაობათა შორის მეტად მტკიცე უნდა იყოს, რადგან თაობებს შორის ურთიერთობა ძალზე მნიშვნელოვანია და ქვეყნის სიმტკიცის ერთ-ერთი გარანტია.

„ამაგდარის“ მიზანია ხანდაზმულ ადამიანებზე ზრუნვა, მათი ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის ამოქმედება. კავშირი ზრუნავს ამ ადამიანების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, ახალგაზრდებსა და უფროს თაობას შორის შემოქმედებითი ურთიერთობის დახმარებაზე. „ამაღგარს“ მხარში უდგას ბანკთაშორისი ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია.

ღონისძიების ბოლო აკორდი ანსამბლ „ლაზარეს“ მიერ შესრულებული „მრავალჟამიერი“ გახლდათ.

**მერი ქურასბედიანი**

◉ მოითხოვენ

# დედაქალაქში მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი უნდა იდგეს!

## თბილისის მერს გიგი უგულავას, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ზაალ სამადაშვილს

**ამ ბოლო წლებში თბილისში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა: მოპირკეთდა ქუჩები, მოეწყო გარეგანათება, გაშენდა ბაღები და სკვერები, სადაც ადამიანს შეუძლია მშვიდ გარემოში დაისვენოს და გაერთოს. ბავშვებისთვის კი მოეწყო სათამაშო მოედნები და გასართობი ატრაქციონები და ა. შ. ერთი სიტყვით, თბილისი დღითი დღე კეთილმოწყობილი ხდება და ლამაზდება.**

თბილისი დიდი ტრადიციების ქალაქია, მას ყოველთვის ამშვენებდა და ამშვენებს გამოჩენილ ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ძეგლები: რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიასი... ახლახან დაიდგა ყველასათვის საყვარელი მსახიობის სოფიკო ჭიაურელის ბიუსტი.

ვფიქრობთ, დროა (თუ დაგვიანებული არ არისძ, თბილისში დაიდგას დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი (მარმარილოს ფილა, აქ აღიმართება დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლიო, რა ხანია დგას ბუკიას ბაღში – მეტრო „ტექნიკურ უნივერსიტეტთან“. ძეგლი და არა ბიუსტი, რადგან მისი მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა ამას სამართლიანად იმსახურებს. მით უმეტეს, მომავალ, 2010 წელს სრულდება ამ უსამართლოდ რეპრესირებული მწერლის დაბადებიდან 130 წელი.

იმედია, ეს საიუბილეო თარიღი შესაფერ დონეზე აღინიშნება და მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლის საკითხიც საბოლოოდ მოგვარდება.

პატივისცემით
**ბონდო არველაძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

**სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2009 წლის 1 დეკემბერს 12 საათზე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. 74 ბ-ში.**

**საერთო კრების საალრიცხვო დღედ განისაზღვრა 2009 წლის 5 ნოემბერი.**

**დღის წესრიგი:**

1. საზოგადოების აუდიტორის არჩევა.

საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მათი მონაწილეობის უფლება კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს ს/ს „კავკასრეესტრი“, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ა.

◉ ინფორმაცია

## H1N1 გრიპის ვირუსი 34-ე სკოლაში

**თბილისის** 34-ე საჯარო სკოლაში H1N1 გრიპის ვირუსით დაავადების შემთხვევა დაფიქსირდა.

სკოლაში დირექტორმა დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სასწავლო პროცესის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო.

გავრცელებული ინფორმაციით, მოსწავლეს კონტაქტი ჰქონდა ინგლისიდან ჩამოსულ სტუმართან და დაავადება მისგან გადაედო. სკოლაში გრიპის ვირუსის სხვა შემთხვევა არ დაფიქსირებულა, თუმცა სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების მიზნით სასწავლო პროცესი შეჩერდა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე აცხადებს, ვირუსის ერთი შემთხვევის დაფიქსირების გამო სწავლის შეჩერება რეკომენდებული არ არის.

## გლდანში, მაღაზიაზე მომხდარი თავდასხმისას ერთ-ერთი თავდამსხმელი მოკლეს

**წუხელ** გლდანში მეხუთე მიკრორაიონის მეცხრე კორპუსში მდებარე მაღაზიაში გვიან ღამით სამი უცნობი ახალგაზრდა შეიჭრა.

თვითმხილველთა განცხადებით, თავდამსხმელებმა გამყიდველს იარაღის მუქარით ფული მოსთხოვეს, რის შემდეგაც მაღაზიის მეპატრონემ ერთ-ერთ მათგანს ესროლა. შედეგად 20 წლის ახალგაზრდა დაიჭრა, რამდენიმე წუთში ის იმავე კორპუსში გარდაცვლილი იპოვეს.

ორი თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ექსპერტ-კრიმინალისტებმა წინასწარი მოკვლევითი სამუშაოები უკვე დაასრულეს. მიმდინარეობს გამოძიება.

## სიღნაღში ასაფეთქებელი მოწყობილობები აღმოაჩინეს

**სიღნაღში**, ე.წ. ბროწლიანის ტერიტორიაზე, რესტორან „ბროწლიანის“ და წნორი-სიღნაღის საავტომობილო გზის სიახლოვეს ასაფეთქებელი მოწყობილობები აღმოაჩინეს.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის გახდა ცნობილი, ასაფეთქებელი მოწყობილობები სოფელ საქობოს მაცხოვრებლებმა აღმოაჩინეს, რომლებიც ტყეში ფიჩხს აგროვებდნენ.

სიღნაღის რაიონული პროკურორის დავით კოჭლამაზაშვილის განცხადებით, ასაფეთქებელი მოწყობილობები გამნაღმველებმა ამოიღეს და უკვე გაანადგურეს. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებას შს სიღნაღის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

## უკრაინაში საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს.

ქართველების აყვანა დონეცკის რაიონის ქალაქ მაკეევკაში მოხდა. ქართველებს ქურდობაში ედებათ ბრალი.

უკრაინის შსს-ის ინფორმაციით, ქართველებმა 1 სექტემბერს, ერთ-ერთი ბინის დაყაჩაღების შედეგად ათასი გრივნა, საიუველირო ნივთები და მობილური ტელეფონი გაიტაცეს.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ სიტყვა ერის გასაგონად!

# „ლურჯა ცხენები წითელ ბალახზე“

**ასე ეწოდება შატროვის პიესას, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე ბრწყინვალედ დადგა რობერტ სტურუამ. შატროვის გმირი, ახალგაზრდა მხატვარი ეტრფოდა რევოლუციურ იდეალებს, უნდოდა შეექმნა მხატვრული ტილო „ლურჯა ცხენები წითელ ბალახზე“, მაგრამ ვერ მოასწრო და ტილოზე დარჩა მხოლოდ ლაქები, სისხლის ლაქები (ეს რობიკოს მიგნება გახლდათძ.**

უსისხლოდ (?ძ დაიწყო ე. წ. „ვარდების რევოლუცია“, მაგრამ „რევოლუციამ“ თავისი ქნა. ვარდმა ჭკნობა დაიწყო, ეკლებში ჩაიძირა, ეკლები კი ტყვიისად იქცა. აზღვავდა ბოღმა, შური და ღვარძლი, უვიცობა, ტყუილი და გაუტანლობა, მომრავლდნენ მკვლელები, უდანაშაულო ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების სისხლით დაიტბორა ქართული მიწა. რასა იქმთ, ხელისუფალნო! რასა იქმთ, ქართველებო! შიში ბედნიერებად რად ვაქციეთ? „ფურთხის ღირსი ხარ, საქართველო“, – უთქვამს აკაკის. არა, არ მინდა ასეთი ვიხილო ერი, ღირსებააყრილი, დადუმებული, სადა ხარ ერო, ბედნიერო, ხმას რად არ იღებ, რატომ დამუნჯდი!

**ლონდა მდივანი**

## ყველაფერი ყველაფერზე

### „პოტიომკინის სოფლები?“ ჭორია, რა თქმა უნდა, ჭორია

**ეს გამოთქმა მას შემდეგ გავრცელდა, რაც პოტიომკინმა, ფელდმარშალმა, შავი ზღვის ფლოტის ადმირალმა და ეკატერინე II-ის ფავორიტ-**




**მა ყირიმისკენ მიმავალ გზებზე სახლებისა და ხეების დეკორაციები მოაწყო, როგორც ეს თანამედროვე კინოფილმებში ხდება.** ეს ბოროტი ჭორი პეტერბურგში ფავორიტის მტრებმა გაავრცელეს. ეკატერინა II ხომ საკმარისად ჭკვიანი იყო, რათა ასეთ იაფფასიან ფანდზე არ წამოგებულიყო. მასზე არც თანამედროვეები ამბობენ რამეს. მხოლოდ 1797 წელს, როცა არც დედოფალი იყო ცოცხალი და აღარც პოტიომკინი, საქსონელმა დიპლომატმა ჰელბაგმა ახსენა ეს არარსებული სოფლები და ლეგენდა მთელ მსოფლიოში სწრაფად გავრცელდა.

### „რუსული ავანსის პაპა“

**რუსი კომპოზიტორი შაპორინი არაერთი კარგი ნაწარმოების ავტორი კი იყო, მაგრამ სახელი მაინც სულ სხვა მხრივ გაითქვა.** იგი არაერთ საოპერო თეატრთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, მომგებიან თემებს სთავაზობდა, ისეთ მუსიკას მოგიტანთ, თქვენი მოწონებულიო, ოღონდ ყველასგან ამ მომავალ საოპერო ნაწარმოებებში ავანსის გადახდას მოითხოვდა. ბევრჯერ გადაუხადეს კიდეც, მაგრამ შემდეგ ძალიან ნერვიულობდნენ, ოპერების „ჩაბარებას“ არაფერი ეშველა.

ეს ისტორია არაერთხელ გამეორდა. ყიამყრალებს რა გამოლევს და შაპორინსაც „რუსული ავანსის პაპა“ დაარქვეს.

### „რევოლუციას მეცნიერები არ სჭირდება!“

**ანტუან დე ლავუაზიე, როგორც ცნობილია, მრავალმხრივი მეცნიერი იყო, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ასტრონომიასა და ბოტანიკას აქცევდა. 23 წლისამ საფრანგეთის აკადემიის პრემია მიიღო ნაშრომისთვის: „მოსაზრებები პარიზის საუკეთესოდ განათების შესახებ“.**

ლავუაზიე დააპატიმრეს და რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებაში დაადანაშაულეს. მან რევოლუციურ ტრიბუნალს სასჯელის გადადება ითხოვა, რათა მეცნიერული ცდები ბოლომდე მიეყვანა. ნურას უკაცრავად! მოსამართლემ, რომელიც ადრე ექიმი იყო, უკელაციოდ წარმოთქვა: „რევოლუციას მეცნიერები არ სჭირდება!“ და დიდ მეცნიერსაც 1794 წლის 8 მაისს თავი მოჰკვეთეს.

### გაუფრთხილებლობა უსაყვედურა



**განთქმულ კარდინალ რიშელიეს ჩამომავალი, ჰერცოგი დე რიშელიე ყმაწვილობიდან სასიყვარულო ინტრიგებში ჩაება. სამეფო კარის განთქმული ლამაზმანები გასაქანს არ აძლევდნენ და სხვა თაყვანისმცემლებს ამჯობინებდნენ. ბოლოს ასეთი თავზრუდამხვევი წარმატება იმით დამთავრდა, რომ ახალგაზრდამ ბასტილიაში ამოყო თავი, საიდანაც მეფის ფავორიტმა ქალბატონმა მენტენონმა რის ვაი-ვაგლახით გამოიყვანა.**

რიშელიემ ახალგაზრდამ მოიყვანა ცოლი, მაგრამ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა. ცოლმაც საყვარელი გაიჩინა. ერთხელაც, არ გინდა, ჰერცოგი სახლში უდროო დროს დაბრუნდა და, რა ნახა, მის ცოლს საყვარელი ეხვეოდა.

რიშელიეს წონასწორობა არ დაუკარგავს, საყვარელი არ შეურაცხუყვია, მშვიდად გაისტუმრა, ცოლს კი უთხრა: „რა გაუფრთხილებელი ხართ, ქალბატონო! ხომ შეიძლებოდა ჩემს ნაცვლად სხვა ვინმე შემოსულიყო!“

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას**

ბატონო რედაქტორო,

გთხოვთ, მოგვცეთ საშუალება, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებიდან გულწრფელი მადლიერება გამოვხატოთ ყველას მიმართ, ვინც გაიზიარა ჩვენი დიდი მწუხარება ოთარ ჭილაძის გარდაცვალების გამო.

ოთარ ჭილაძის ოჯახი.

---

## დღის კალენდარი — 7 ნოემბერი

**23-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.**

მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელ ეპისკოპოსისა (VIIძ; მოწამე პარასკევასი (IIIძ; მოწამე ტერენტისა ნეონილასი და შვილთა მათთა: სარვილესი, ფოტისა, თეოდულესი, იერაქსისა, ნიტესი, ვილასი და ევნიკიასი; ღირსი სტეფანე საბაიტელისა, კანონთგამომთქმელისა (XIძ; წმიდა არსენისა სერბიელ მთავარეპისკოპოსისა (1266ძ; მოწამეთა: აფრიკანისა, ტერენტისა, მაქსიმესი, პომპისა და სხვათა 36-თა (IIIძ; მღვდელმოწამეთა კვირიაკესი – იერუსალიმის პატრ. (353ძ; ღირსი იოანე ქოზიბელისა – კესარიელ ეპისკოპოსისა (VIძ.

### დაიბადნენ:

**1483 – მარტინ ლუთერი,** გერმანიაში რეფორმაციის მეთაური. გარდაიცვალა 1546 წელს.
**1759 – ფრიდრიხ შილერი,** გერმანელი პოეტი და დრამატურგი. გარდაიცვალა 1805 წელს.
**1801 – ვლადიმირ დალი,** რუსი ლექსიკოგრაფი, ეთნოგრაფი და მწერალი. გარდაიცვალა 1872 წელს.
**1827 – გიორგი ქართველიშვილი,** ქველმოქმედი. გარდაიცვალა1901 წელს.
**1854 – არტურ რემბო,** ფრანგი პოეტი. გარდაიცვალა 1891 წელს.
**1855 – კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილიძ,** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1917 0 1918ძ. გარდაიცვალა 1918 წელს.
**1890 – გიორგი ჩიტაია,** ეთნოლოგი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1986 წელს.
**1966 – გიორგი ახვლედიანი (აკა მორჩილაძეძ,** მწერალი.

### გარდაიცვალნენ:

**1891 – არტურ რემბო,** ფრანგი პოეტი.
**1938 – მუსტაფა ქემალ ათათურქი,** თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი.
**1982 – ლეონიდ ბრეჟნევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

### მოვლენები:

**1885 წელი** – გამოიგონეს მოტოციკლი.
**1961 წელი** – სტალინგრადს ეწოდა ვოლგოგრადი.
**1975 წელი** – ანგოლა დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.**
**რუსეთი** – მილიციის დღე.
**ინდონეზია** – გმირის დღე.

მედიანიუსი

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

---

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6829 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4841 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7818 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7567 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3545 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0947 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1006 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1262 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4652 ლარი |




## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +7 – +16 |
| ქუთაისი. | +11 – +20 |
| ბათუმი. | +15 – +23 |
| ზუგდიდი. | +12 – +21 |
| თელავი. | +6 – +13 |

## კადრი




ჰელოუინის დღესასწაულზე პრეზიდენტთან მიიწვიეს ერაყსა და ავღანეთში მომსახურე სამხედროების 2 ათასი ბავშვი. ბარაკ ობამა გამოვიდა ჩვეულებრივ მუქ სვიტერში და კუბოკრულ პერანგში, აი მიშელმა კი გადაწყვიტა ამ საღამოს გამხდარიყო ქალი – კატა. მიშელს არ ჩამორჩნენ სხვა „ვიპებიც“: თეთრი სახლის პრესმდივანი რობერტ გიბსი დასეირნობდა დარტ ვეიდერის კოსტიუმში „ვარსკვლავური ომებიდან“, ხოლო გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების მარად სერიოზულ მუდმივ წარმომადგენელს სიუზან რაისს არ შეშინებია წარმოჩენილიყო ჩვეულებრივ დისნეის ძაღლ გუფის ტანსაცმლით.

## ანეკდოტები

– მართალია, რომ ერთწუთიანი სიცილი ხუთი წუთით ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას?
– გააჩნია ვისზე იცინით. შეიძლება, შეგიმოკლოთ კიდეც...

* * *

ხელისუფლება იძულებული გახდა, გადაედო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია, რადგან საამისოდ გამოყოფილი 500 მილიონი დოლარი სადღაც გაქრა.



* * *

ლამაზ ქალს როგორც არ უნდა ჩააცვა, სულ ერთია, მისი გახდა მაინც სასიამოვნოა.

* * *

ბანკეტზე სოფი ლორენი ბანკირის ცოლს გაეცნო.
– თქვენი გარეგნობის პატრონს კინოშიც კი შეგეძლოთ თამაში! – წამოიძახა აღტაცებულმა ბანკირის ცოლმა.
– მე სოფი ლორენი ვარ!
– მერე რა? სახელის შეცვლა შეიძლება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.